

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ.თბილისი

27-28. 11.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

დავით კიკალაიშვილი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
დიმიტრი ალავეძე - საბჭოს მდივანი;
თეონა კუპატაძე - წევრი;
ირაკლი გამყრელიძე - წევრი;
მიხეილ კორმახია - წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ირმა ნოზაძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შუდრა - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

სოფიო უჩანეიშვილი;
ნატალია ბარათელი;
ნანა ფრუიძე;
ეკატერინე გიგაშვილი;
ნატო ალავეძე;
მარინა გედევანიშვილი;
ნინო ქიმერიძე;
ბეჟან ჯავახია;
ზვიად როგავა;
ელიზბარ ელიზბარაშვილი;
მანანა ხაჩიძე;
ეკა ეკალაძე;
გრიგოლ სოხაძე.

წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები :
თეონა ხუფენია - რექტორი

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენლები:
ირინა ბაქრაძე

ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ხათუნა მხეიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;
გიორგი აბრამიშვილი - სწავლების დეპარტამენტის, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი;
თემურ ჯაგოდნიშვილი - ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, მასობრივი კომუნიკაციის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.
ნუგზარ სიხარულიძე - ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

ზურაბ გამეზარდაშვილი - ბიზნეს - ინჟინერინგის ფაკულტეტის, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი, ტექსტის რეფერირებისა და თარგმნის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ჯონი აფაქიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,

რევაზ ხარებავა

დავით ჯალაღონია,

მაკა კაჭარავა.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე“, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო სხდომას გაუძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე, დავით კიკაელიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 20:40 - სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მულტი-მედია ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექსტის რეფერირებისა და თარგმნის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

- [illegible]

40. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
41. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
42. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
43. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
44. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
45. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
46. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი.

საბჭომ არსებული სახით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ჯანდაცვის ბაკალავრი“ (რომელიც „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-4 მუხლთან წინააღმდეგობაში ზოგადად არ მოდის), ფორმულირებული იქნას „ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში“ ან „ფარმაციის ბაკალავრი“ რაც უფრო ნათელს გახდის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალობის მიხედვით, მით უმეტეს, რომ „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მიზანია (მუხლი 1; პუნქტი „ვ“): „საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესაძარბის უზრუნველყოფა, ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება“, „ფარმაციის ბაკალავრი“ კი იძლევა უფრო კონკრეტულ ინფორმაციას მიღებული განათლების შესახებ, ხოლო „ჯანდაცვის ბაკალავრი“ ზოგადია და შესაძლებელია მოიაზრებდეს ჯანდაცვის მთელს მიმართულებას (საზოგადოებრივი ჯანდაცვა, საექთნო საქმე, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია).

- სასურველია დაიხვეწოს პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამონათვალი, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად, რათა პროგრამის შემადგენელი კურსების სილაბუსების სწავლის შედეგების ძირითადი პოსტულატები ადეკვატურად ჩანდეს პროგრამის აღწერილობით ნაწილში.

- სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც რიგ შემთხვევებში (მაგ: უმეტესობა კურსებისა (ადამიანის ნორმალური ანატომია, ადამიანის ფიზიოლოგია, სამედიცინო ბიოლოგია და გენეტიკა, ზოგადი ქიმია, ფარმაცოგნოზია 1,2 და ა.შ (დანართი I).) განავითარებს ერთსა და იმავე ღირებულებებს: „სტუდენტი კურსის ფარგლებში ყალიბდება როგორც ეთიკურად გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი მოვალეობის გაცნობიერების უნარი“, რაც ნაკლებად მისაღწევია მხოლოდ ამ კურსის ფარგლებში, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი) სწავლის შედეგების ხელოვნურად გაწერის გარკვეულ უხერხულობას იძლევა).

პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა.

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის რეალური შეფასების სრულყოფის შესაძლებლობა იქნებოდა.

- სასურველია დაიხვეწოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი (დაკინკრეტდეს პრაქტიკის გავლის ფორმატი, რა პრონციპით ნაწილდება 15 კრედიტი სემესტრის ფარგლებში, დაიხვეწოს შეფასების სისტემა).

- სასურველია რიგი კურსები (პათოლოგიური ფიზიოლოგია, ზოგადი ჰიგენა) არჩევითი კურსებიდან გადატანილ იქნას სავალდებულო კურსებში, ვინაიდან პათოლოგიური ფიზიოლოგია და ზოგადად პათოლოგია წარმოადგენს ფარმაცოთერაპიის (სავალდებულო კურსია!) შესწავლის აუცილებელ წინაპირობას, ხოლო ზოგადი ჰიგენა უფრო მეტად უზრუნველყოფდა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობას;

- სასურველია კურსი „ბიოქიმია“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „ფარმაცოლოგიის“ შესწავლას, ვინაიდან ის წარმოადგენს ფარმაცოლოგიის შესწავლის აუცილებელ წინაპირობას, ხოლო თავად „ფარმაცოლოგია“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „სოციალურ ფარმაციას“, ვინაიდან აღნიშნული კურსის შინაარსი ადასტურებს, რომ „ფარმაცოლოგია“ წარმოადგენს „სოც.ფარმაციის“ შესწავლის წინაპირობას, ამასთანავე „ფარმაცოლოგია“ მიმართულების ბაზისური კურსია, ხოლო „სოც.ფარმაცია“ - სპეციალობის განმსაზღვრელი; ასევე, კურსი

„სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკის საფუძვლებით“ სასურველია წინ უსწრებდეს „მიკრობიოლოგია, ვირუსოლოგია, იმუნოლოგია 1“-ის შესწავლას.

– სასურველია ზოგადად დაიხვეწოს კურსების სილაბუსებში მითითებული წინაპირობები (პრერეკვიზიტი კურსების სიმრავლე) და მიეთითოს ის კონკრეტული კურსი (ან კურსები), რაც წინაპირობების ლოგიკურ ჯაჭვში თანმიმდევრობის პრინციპით უშუალოდ შესაბამისი იქნება. არჩევით კურსების სილაბუსებში მითითებული წინაპირობების სიმრავლე ამცირებს მათი შესაბამისი სემესტრებში არჩევითობის შესაძლებლობას. აღნიშნულის რეალური შეფასება შესაძლებელი იქნებოდა წინაპირობების მატრიცის შექმნით.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული შეფასებები სარეკომენდაციო ხასიათის იყო.

თავმჯდომარე დაინტერესდა წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაციით, კერძოდ ახერხებდა თუ არა პროგრამა შედეგზე გასვლას.

ექსპერტის განმარტებით, შედეგი მიღწევადია, მაგრამ საგნების ინტეგრირებული შესწავლა გაურკვევლობას იწვევს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია რომ მოხდეს საგნების განცალკევება და მათი ინდივიდუალური შესწავლა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს. რეკომენდაციები გაითვალისწინეს და ასახეს პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

-სასურველია პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია „ფარმაცევტი თანაშემწე“ შეიცვალოს ფორმულირებით „ფარმაცევტის თანაშემწის V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“, რაც იძლევა უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მისაღები კვალიფიკაციის დონის შესახებ და გაზრდიდა ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ სტანდარტთან (090351) შესაბამისობის ხარისხს. ასევე პროგრამაში ჩანაწერი „კვალიფიკაციის დონე“ შეიცვალავს „პროფესიული კვალიფიკაციის საფეხური“.

- სასურველია დაიხვეწოს პროგრამის მიზნების ძირითადი პოსტულატები, რათა უფრო სრულყოფილი იყოს და მეტად შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს.

- სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც რიც შემთხვევებში (მაგ: უმეტესობა კურსებისა (ადამიანის ნორმალური ანატომია, ფიზიოლოგია, ქიმიის საფუძვლები, ფარმაკოგნოზია, ტოქსიკოლოგიური ქიმია) განვითარებს ერთსა და იმავე ღირებულებებს: „სტუდენტი კურსის ფარგლებში ყალიბდება როგორც ეთიკურად გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი მოვალეობის გაცნობიერების უნარი“, რაც ნაკლებად მისაღწევია მხოლოდ ამ კურსის ფარგლებში, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი) სწავლის შედეგების ხელოვნურად გაწერის გარკვეულ უხერხულობას იძლევა).

პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა.

- სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის რეალური შეფასების სრულყოფის შესაძლებლობა იქნებოდა.

- სასურველია დაიხვეწოს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი, რათა შინაარსში გათვალისწინებული დარგის სხვადასხვა მიმართულების შესაბამისი პერაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება შეუძლებელია ერთ კონკრეტულ ადგილზე და ერთი ხელმძღვანელის ზედამხედველობით, ამისთვის საჭიროა ფარმაცევტული საწარმო, აფთიაქი სადაც შიდასააფთიაქო დანამზადები კეთდება, მხოლოდ მზა პროდუქციის რეალიზაციით დაკავებული აფთიაქები და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიები, რომელთა გარეშე შეუძლებელია რიგი კომპეტენციების მიღწევა, როგორცაა წამლის დამზადების პროცესში და ტექნოლოგიური ოპერაციების განხორციელებაში მონაწილეობა, მესამე ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციის უნარ-ჩვევების განვითარება (ასევე უნდა დაკონკრეტდეს პრაქტიკის გავლის ფორმატი, დაიხვეწოს შეფასების სისტემა).

- სასურველია კურსები „არაორგანულ და ორგანულ სამკურნალო საშუალებათა ქიმია“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „ტოქსიკოლოგიური ქიმიის“ შესწავლას, ვინაიდან ის წარმოადგენს ტოქსიკოლოგიური ქიმიის შესწავლისათვის ხელსაყრელ წინაპირობას.

- სასურველია პროგრამას დაემატოს ზოგადად „პათოლოგიის“ ან „პათ.ფიზიოლოგიის“ და „პათ.ანატომიის“ კურსები, ან „ადამიანის ნორმალური ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ გადაკეთდეს კურსებად: „ადამიანის ანატომია პათოლოგიით“ და „ფიზიოლოგია პათოლოგიით“ შესაბამისი შინაარსობრივი ცვლილებებით, ვინაიდან ფარმაცევტული და სამედიცინო დისციპლინების (ქირურგია, შინაგანი სნეულებანი, ნერვული სნ-ნი და ა.შ) შესწავლა პათოლოგიის გარეშე არარეალურია.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნატო ალავიძემ, განმარტა რომ დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები სარეკომენდაციო ხასიათის იყო და არ მიუთითებდა აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

– სასურველია რეალურად გაიწეროს ცალკეული კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ცალკეულ კომპეტენციებად კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისად დაიხვეწოს პროგრამის თანმხლები კომპეტენციების რუქა (პროგრამის შემადგენელი ყველა კურსი იძლევა ექვსივე კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობას, რაც რიც შემთხვევებში (მაგ: უმეტესობა კურსებისა (ადამიანის ნორმალური ანატომია, ადამიანის ფიზიოლოგია, პირველადი სამედიცინო დახმარება, მეანობა, ქირურგია) განვითარებს ერთსა და იმავე ღირებულებებს: „სტუდენტი კურსის ფარგლებში ყალიბდება როგორც ეთიკურად გაწონასწორებული პიროვნება, რომელსაც ექნება პასუხისმგებლობის გრძნობა და საკუთარი მოვლეობის გაცნობიერების უნარი“, რაც ნაკლებად მისაღწევია მხოლოდ ამ კურსის ფარგლებში, ასევე იდენტურია კომუნიკაციის და სწავლის უნარი) სწავლის შედეგების ხელოვნურად გაწერის გარკვეულ უხერხულობას იძლევა).

– პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები ზოგადად პროგრამის ყველა კომპონენტის ერთობლიობის ხარჯზეა მისაღწევი და ცალკეული კურსებით ყველა კომპეტენციის მიღწევა აუცილებელი არ არის, თუ რა თქმა უნდა ამის შესაძლებლობას კურსი რეალურად არ იძლევა.

– სასურველია კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები იყოს მეტ-ნაკლებად განსხვავებული, რაც ცოდნის რეალური შეფასების სრულყოფის შესაძლებლობა იქნებოდა.

– სასურველია დაიხვეწოს სასწავლო და პროფესიული პრაქტიკების სილაბუსები, რათა შინაარსში გათვალისწინებული საკითხები, ლოგიკური თანმიმდევრობით მიყვებოდეს თეორიულ კურსებს. მაგ: „ქირურგიის, მეანობის, შინაგანი სნეულებანის“ შესწავლის პარალელურად მიდიოდეს სასწავლო პრაქტიკა, რომელიც ამ კურსების კონკრეტულ საკითხების შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს. ასევე უნდა დაკონკრეტდეს პრაქტიკის გავლის ფორმატი, დაიხვეწოს პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები.

– სასურველია კურსი „სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკით“ სემესტრით მაინც უსწრებდეს „ადამიანის ფიზიოლოგიის“ შესწავლას, ვინაიდან ის წარმოადგენს ამ უკანასკნელის შესწავლისათვის ხელსაყრელ წინაპირობას.

– სასურველია პროგრამას დაემატოს ზოგადად „პათოლოგიის“ ან „პათ.ფიზიოლოგიის“ და „პათ.ანატომიის“ კურსები, ან „ადამიანის ნორმალური ანატომია“ და „ადამიანის ფიზიოლოგია“ გადაკეთდეს კურსებად: „ადამიანის ანატომია პათოლოგიით“ და „ადამიანის ფიზიოლოგია პათოლოგიით“ შესაბამისი შინაარსობრივი ცვლილებით, ვინაიდან ფარმაკოთერაპიის და სამედიცინო დისციპლინების (ქირურგია, შინაგანი სნეულებანი, ნერვული სნ-ნი და ა.შ) შესწავლა პათოლოგიის გარეშე არარეალურია.

– სასურველია პროგრამას დაემატოს კურსი „ჯან.დაცვის მენეჯმენტი“ ან „ჯან.დაცვის სისტემის მენეჯმენტის საკითხები შეტანილ იქნას რომელიმე კურსის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს „პრაქტიკოსი ექთნის“ პროფესიული სტანდარტით (090552) განსაზღვრული აუცილებელი კომპეტენციების განვითარებას „იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება“.

– სასურველია პროგრამას დაემატოს კურსები: „გადაუდებელი მედიცინა“/„რეანიმაცია, სამედიცინო ბიოეთიკა“ ან „ქცევითმეცნიერება“/„სამედიცინო ფსიქოლოგია“ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით ან შესაბამისი საკითხები გაერთიანდეს სხვა კურსებში მაგ: „ავადმყოფის მოვლა“ (ან სასურველია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დაემატოს კურსი „საექთნო საქმე“), სადაც სხვა საკითხებთან ერთად ასევე განხილული იქნება ზოგადად პაციენტთა ტრიაჟის, პირველადი საექთნო შეფასების საკითხები და სხვადასხვა დაავადებებით ავადმყოფთა მოვლის თავისებურებანი.

– საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, მისი აზრით, დასკვნაში აღნიშნული საკითხები რამდენად მნიშვნელოვანი იყო.

– ექსპერტის განმარტებით დასკვნაში აღნიშნული იყო სარეკომენდაციო ხასიათის საკითხები იყო. მისი თქმით, უმჯობესი იქნებოდა თუ დახმარებას გამოყოფდნენ ცალკე საგნად, მაგრამ ეს საკითხი შენიშვნის ხასიათს არ ატარებს, რადგან უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პრაქტიკის განხორციელების ინსტრუქცია და პარალელურ რეჟიმში გადიან პრაქტიკას.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნატო ალავიძემ, განმარტა რომ დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები სარეკომენდაციო ხასიათის იყო და არ მიუთითებდა აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს. პრაქტიკასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ პრაქტიკის ხელშეკრულება გააფორმა რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- მართალია, პროგრამის თითოეულ კონცენტრაციას თავისი მიზანი აქვს. თუმცა, სასურველია, პროგრამის ზოგად აღწერილობაში გაიწეროს საერთო მიზანიც;
- საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ კონცენტრაციას - “მმართველობას”, სასურველია ეწოდოს “საჯარო მმართველობა”, როგორც ფორმულირებულია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში;
- სასურველია, არჩევითი სახით დაემატოს პროგრამას მეორე უცხო ენა, რაც მეტად მნიშვნელოვანი იქნება განსაკუთრებით, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის კონცენტრაციების სტუდენტებისთვის;
- მართალია, პროგრამაზე სავალდებულო წესით იკითხება კალკულუსი. თუმცა, სასურველია, პროგრამის კურიკულუმს ასევე დაემატოს „სტატისტიკის“ კურსიც, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრებისთვის;
- სასურველია, რომ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ გაიმიჯნოს საკონტაქტო საათების განაწილება - რამდენი დრო ეთმობა ლექციას და რამდენი ჯგუფში მუშაობას;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების ფორმები სქემატურად გაიწეროს, რომ სტუდენტისთვის ნათელი იყოს შუალედური გამოცდებისა და ფინალური გამოცდის ქულა როგორ იწერება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს. ამასთან, საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული აქვთ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, პროგრამის აღწერაში მოცემული იყოს პროგრამაზე მიღების შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები

- სასურველია, პროგრამის აღწერაში ასევე სკოლის შესაბამის დოკუმენტში (სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების პროცედურები და სტანდარტები) ნათლად იყოს მოცემული სამაგისტრო ნაშრომის არჩევისა და მისი შესრულების პროცედურები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მისაღები წინაპირობები ვებ-გვერდზე აქვთ განთავსებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მულტი-მედია ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რომ ჟურნალისტიკის და მედია-მენეჯმენტის კავკასიური სკოლა, აღნიშნული პროგრამის და სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში ახორციელებს ინოვაციურ და ამბიციურ პროექტებს. სასწავლო პროგრამაში არსებული სიახლეები მიმართულია სასწავლო პროცესის მოდერნიზებაზე და თამამად იღებს თანამედროვე ჟურნალისტიკის სფეროში არსებულ გამოწვევებს. ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ე.წ. კონვერგირებული ნიუსრუმის იმპლემენტაცია და ისეთი კურსების გაძლიერებულად სწავლება, როგორიცაა „ვებ 2.0. – სოციალური მედია და პროგრამირება ჟურნალისტიკისთვის“, „ჟურნალისტიკა 2.0. – ონლაინ ჟურნალისტიკა“, „კონვერგირებული (მულტიპლატფორმული) ნიუსრუმი“ და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ამ და სხვა სასწავლო კურსების იმპლემენტაციის პროცესი ადმინისტრაციის მხრიდან იყოს მუდმივად მხარდაჭერილი, რაც მიეხმარება სწავლის ხარისხის მუდმივ ამაღლებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით. პროგრამას აქვს კომპეტენციების დეტალური მატრიცა, თუმცა, სასურველია, ყოველ სილაბუსში ასევე, უფრო დეტალურად გაიწეროს სწავლის შედეგები (კვალიფიკაციათა ჩართოს შესაბამისი დესკრიპტორის მიხედვით). ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ შემდგომ დახვეწაზე;

- სასურველია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გაგრძელდეს სტუდენტების ინოვაციური პროექტების მხარდაჭერა, მათი განხორციელების მხარდაჭერა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე მისაღები წინაპირობები ვებ-გვერდზე აქვთ განთავსებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მულტი-მედია ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მულტი-მედია ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სამაგისტრო
პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს პრაქტიკა, თუნდაც არჩევითი კომპონენტის სახით, რაც პრაქტიკული უნარების განვითარების მეტ შესაძლებლობას შექმნის.

- სასურველია არჩევითი საგნების მეტი დიფერენციაცია, რათა სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ სასურველი საგნებით ინდივიდუალური პროფილის ფორმირებისა (მაგალითად, სტუდენტისათვის, რომელიც ახდენს საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართულებით საგნების კონცენტრაციას, არ იყოს სავალდებულო საერთაშორისო სისხლის სამართლის გავლა).

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

მომხსენებელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს გააცნო ექსპერტის განმარტება - პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები (პრაქტიკა ინტეგრირებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში).

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რამდენადაც სტუდენტების უმეტესი ნაწილი დასაქმებულია, რეალურად პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება, თუმცა რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ და პრაქტიკულ კომპონენტს ცალკე გამოყოფენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, პროგრამის აღწერაში მოცემული იყოს პროგრამაზე მიღების შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები

- სასურველია, პროგრამის აღწერაში ასევე სკოლის შესაბამის დოკუმენტში (სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების პროცედურები და სტანდარტები) ნათლად იყოს მოცემული სამაგისტრო ნაშრომის არჩევისა და მისი შესრულების პროცედურები.

- სასურველია, თითოეული სილაბუსის ბოლოს მოცემული იყოს კონკრეტული კურსის კომპეტენციების მატრიცა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, პროგრამის აღწერაში მოცემული იყოს პროგრამაზე მიღების შიდასაუნივერსიტეტო პროცედურები.

- სასურველია, პროგრამის აღწერაში ასევე სკოლის შესაბამის დოკუმენტში (სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა, შესრულების პროცედურები და სტანდარტები) ნათლად იყოს მოცემული სამაგისტრო ნაშრომის არჩევისა და მისი შესრულების პროცედურები.

- სასურველია, თითოეული სილაბუსის ბოლოს მოცემული იყოს კონკრეტული კურსის კომპეტენციების მატრიცა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

-სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით. პროგრამას აქვს კომპეტენციების დეტალური მატრიცა, თუმცა, სასურველია, ყოველ სილაბუსში ასევე, უფრო დეტალურად გაიწეროს სწვლის შედეგები (კვალიფიკაციათა ჩართოს შესაბამისი დესკრიპტორის მიხედვით).

- სასურველია პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გარკვეული კურსები აირჩიონ ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამიდან;

- სასურველია სილაბუსებში სასწავლო კურსების დასახელება შეთავაზებული იყოს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც. ასევე, მოხდეს სასწავლო კურსის „საჯარო გამოსვლა და წერის ოსტატობა“ დასახელების მოდერნიზება შემდეგნაირად: „წერა PR-ისთვის“ ან „წერის უნარები/ოსტატობა PR-ისთვის“.

- პროგრამის მოდერნიზების კუთხით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ექსპერტების როლი და ამ მხრივ, სკოლის თანამშრომლობა სამხრეთ კაროლინას და კოლუმბიის უნივერსიტეტებთან. სასურველია, ამ პროგრამის ფარგლებში, კიდევ უფრო გაიზარდოს ექსპერტების ჩართულობა და გაღრმავდეს თანამშრომლობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, სადოქტორო პროგრამაზე, გარდა სავალდებულო კურსებისა, რომლებიც მეთოდოლოგიური ხასიათისაა, შეთავაზებული იყოს არჩევითი სასწავლო კურსებიც სოციალურ მეცნიერებათა ამა თუ იმ დარგისა, რომელშიც დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას გადაწყვეტს;

- მიღების წინაპირობები მოითხოვს დაზუსტებას. თუ დოქტორანტურაში მიიღება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ნებისმიერი მსურველი, მაშინ უპრიანია პირველი რეკომენდაციის გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტის პროფილიდან გამომდინარე, შეიძლება კანდიდატს მოეთხოვოს სამაგისტრო ან მინიმუმ საბაკალავრო განათლება სოციალურ მეცნიერებებში.

- სასურველია მიღების წინაპირობებში ჩაემატოს უცხო ენის ცოდნის დადასტურება (უმჯობესია ინგლისურის) – გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატის წარდგენა და ასევე, სასურველია, განისაზღვროს მისაღები კონტიგენტის მაქსიმალური ოდენობა;

- სასურველია, დოქტორანტურაში სწავლის ყველა კომპონენტის (მაგ. პედაგოგიკური პრაქტიკა, სადისერტაციო ნაშრომის პროსპექტუსი) შეფასები ხდებოდეს 100 ქულიანი სკალის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების მანიშნებელია და მოითხოვს ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

12. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები ბუნდოვანია, რაც განპირობებულია იმით, რომ სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შემადგენელი დეტალების შესაბამისობა ერთმანეთთან არ არის ჰარმონიზაციაში;

- პროგრამის კომპონენტები, შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას. რაც გულისხმობს:

- პროგრამაში არ ხორციელდება დისციპლინის არჩევითობის პრინციპი, მასში გაწერილია 75 კრედიტის სავალდებულო დისციპლინათა ჩამონათვალი;

- კვლევითი კომპონენტი ჯამში ითვლის 30+15, შესაბამისად 45 კრედიტს;

- პროგრამის სათაურში მითითებულია ტექსტის რეფერირება და თარგმანი, თუმცა პროგრამაში ვერ ვხვდებით ტექსტის შემსწავლელ რომელიმე დისციპლინას, რომელიც ტექსტის მახასიათებლებზე, ან სულაც ლინგვისტური ანალიზის რომელიმე არსებით მეთოდზე გადის;

- გამომდინარე იქიდან, რომ თარგმანი უშუალოდ გულისხმობს მინიმუმ ორი ენის კომპეტენციას, პროგრამაში ერთ-ერთ სავალდებულო დისციპლინად უნდა იყდეს ამოსავალი სათარგმნი ენის (ამ შემთხვევაში ქართულის) სტრუქტურის შემსწავლელი დისციპლინა, რათა შემდგომ სასწავლო სემესტრებში განხორციელდეს ტრანსლაციის ენების კონტრასტული ანალიზი;

- შინაარსის თვალსაზრისით ერთიანობაში პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე საკომპეტენციო მიმართულებას, კერძოდ, საენათმეცნიერო - კონტრასტული, შედარებითი ლინგვისტიკა, ლინგვისტური ჰერმენევტიკა (ტექსტის ინტერპრეტაცია), სტილისტიკა, ტექსტის/ ტექსტის სახეობათა/დარგობრივი ტექსტის სახეობათა ლინგვისტიკა, კორპუსლინგვისტიკა, დარგობრივი ენები და ტერმინოლოგიის პრაქტიკული სწავლება - ინჟინერია, ეკონომიკა, სამართალი (შერჩევით), თარგმნის თეორიისა და მეთოდოლოგიის, კულტურათაშორისი მიმართებები და ტრანსფერი, რაც გახდებოდა პროგრამის სამეცნიერო დიდაქტიკური კონცეფცია;

- სწავლების მეთოდები უნდა განისაზღვროს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები ფრაგმენტულად აისახება პროგრამაში, რასაც საბოლოოდ პროგრამა ვერ გაყავს საბოლოო შედეგებამდე.

- პროგრამაში შედეგების აღწერა შემოიფარგლება ზოგადი დებულებებით და სრულად ვერ ასახავს შედეგებს, რომელიც უნდა დადგეს სასწავლო პროგრამის განხორციელების შემდეგ.

- პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობა საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე ვერ იქნება სათანადოდ უზრუნველყოფილი. პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ არასრულყოფილი დარგობრივი კომპეტენციები. შედეგების გაწერა უნდა მოხდეს დეტალურად, სასწავლო კომპონენტების შედეგების გათვალისწინებითა, მიზანმიმართულად.

- პროგრამის განვითარების პროცესი გარკვეულწილად შეფერხებულია, ვინაიდან ამ პროცესში ნაკლებად არის ჩართული აკადემიური პერსონალი და კონკრეტულ დამსაქმებელთა მემორანდუმებისა და კონტაქტის არარსებობის გამო ზემოხსენებული სეგმენტიც ვერ ერთვება პროგრამის განახლებაში.

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები ნაკლებად გამჭვირვალეა, არ არის მითითებული ენობრივი კომპეტენციის ზღვარი, რომლითაც სტუდენტი დაიშვება პროგრამაზე. პროგრამის ავტორები ასევე არ უთითებენ, რომ სწავლების ენა ნაწილობრივ არის ინგლისური, რადგან სტუდენტმა პროგრამის ფარგლებში სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე უნდა იმუშაოს თარგმნის ტექნიკების განვითარებაზე.

- გამომდინარე იქიდან, რომ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 48^ბ მუხლის შესაბამისად უშვებს მაგისტრატურის პროგრამაზე პროფესიის შეცვლის შესაძლებლობას, ხოლო პროგრამა ითვალისწინებს კონკრეტულ კომპეტენციებს, რათა სტუდენტმა შესძლოს სწავლა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, მიღების წინაპირობები

უნდა გაიწეროს დეტალურად, შიდასაუნივერსიტეტო სასპეციალოზო გასაუბრება/გამოცდა უნდა გულისხმობდეს სავალდებულო დარგობრივი კომპეტენციების გადამოწმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს გაუჭირდება სწავლის შედეგების მიღწევა.

- წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში წარმოდგენილია სწავლების მეთოდების ერთობლიობა, რაც არ იძლევა ზუსტ წარმოდგენას, თუ რაოდენ უზრუნველყოფს ისინი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სწავლების მეთოდები უნდა გაიწეროს კონკრეტული დისციპლინისათვის მისი ფორმატისა და შინაარსის გათვალისწინებით (მაგ., პროგრამა სთავაზობს სწავლების შემდეგ მეთოდებს: ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი ამავე ნაწილში გვხვდება: დისტანციური სწავლება (პრაქტიკულად არ არსებობს), როლური და სიტუაციური თამაშები (ამ საფეხურზე შეუძლებელია, ვინაიდან უკვე კვლევები იწყება) და მსგ.).

- პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ნებისმიერობის პრინციპს ექვემდებარება, ვინაიდან პროგრამის შემადგენელი კომპონენტები ეკლექტურადაა შერჩეული და სრულად ვერ ფარავს დარგისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს (მხოლოდ ორ საგანს აქვს კონკრეტული წინაპირობა).

- სტუდენტის შეფასების მეთოდები არ არის სრულყოფილად გაწერილი. პრაქტიკულად იდენტურია ყოველი კომპონენტისათვის, რაც საჭიროა განისაზღვროს გამომდინარე ცალკეულ სასწავლო კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

- ცოდნის შეფასებისას არ არის გაწერილი კონკრეტული კრიტერიუმები, რაც სტუდენტს ურთულებს კონკრეტული შედეგის მიღწევის შემდგომ ნაკლოვანების ანალიზის პროცესს და რთულდება აგრეთვე, სასწავლო შედეგების გაუმჯობესების გზების დასახვა. სასურველია სტუდენტი ფლობდეს სასწავლო სილაბუსშივე კონკრეტული შედეგის შეფასების განმარტებას. შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემის მიხედვით, მაგრამ დეტალების გაწერისას არ არის გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტები, რომელიც უნდა დაგროვდეს სასწავლო პროცესის განმავლობაში.

- ვიზიტისას წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების ფორმატით თუ ვიზუალებით, სტუდენტები არ ფლობენ კვლევით უნარ-ჩვევებს (ნაშრომში დარღვეულია საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის სავალდებულო ზოგიერთი სავალდებულო პარამეტრები: მაგ., ციტირების ტექნიკა - ტექსტში გვხვდება კონკრეტულ ავტორთა მოსაზრებები დამოწმების გარეშე, პრაქტიკულად საქმე გვაქვს აკადემიურ და სამეცნიერო არაკეთილსინდისიერებასთან, პლაგიატთან; მსჯელობის გასამყარებლად მოყვანილი მაგალითები არ არის მაგისტრანტის მიერ შერჩეული, ეკუთვნის თავად თეორიის ავტორებს, რაც ასევე არ არის მითითებული, ბიბლიოგრაფიის შერჩევისა და მოძიების ტექნიკები, სამეცნიერო სტილის გაუმართაობა და მსგ.)

- პროგრამის ინტერნაციონალიზაციას აქვს მინიმალური ხარისხი, რაც შემოიფარგლება აკადემიური პერსონალის მონაწილეობით საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში, ასევე კონფერენციებსა და ვორკშოპებში. ასევე რამოდენიმე სასწავლო კურსი იკითხება ინგლისურ ენაზე. ხოლო რაც შეეხება სტუდენტთა მონაწილეობას საერთაშორისო სასტიპენდიო და საგრანტო პროგრამებში, ეს პირობა პროგრამის ფარგლებში, არ დასტურდება. პროგრამას არა აქვს მემორანდუმები უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტთან.

- პროგრამას ემსახურება 5 კონკურსის წესით არჩეული პროფესორი. პროგრამაში წარმოდგენილ აკადემიური პერსონალის რეზიუმეში ფიქსირდება სამეცნიერო პროდუქციის მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, რომლის თემატიკას დეტალურად ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვერ გაეცნო.

- სასწავლო მასალას ესაჭიროება განახლება, ვინაიდან წარმოდგენილი სასწავლო სილაბუსების მიხედვითაც კი არ ჩანს, რომ სასწავლო მასალა ეფუძნება დარგის აქტუალურ მიღწევებს.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ვერ შეძლებს კონტარასტული კვლევების განხორციელებას (რადგანაც მას არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა), ხოლო პრაქტიკულ უნართან დაკავშირებით აღნიშნა რომ ზეპირი თარგმანის უნარს ეს პროგრამა ვერ გამოუმუშავებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნებისმიერი დარგის ბაკალავრს შეუძლია სწავლის გაგრძელება აღნიშნულ პროგრამაზე. პროგრამა ორიენტირებულია უნარების განვითარებაზე.

ექსპერტმა განმარტა რომ პროგრამის შესწავლისას დაფიქსირდა პლაგიატის ფაქტი, პროგრამა არ თავაზობდა სტუდენტს არჩევითობას.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა იძლევა B-2 დონის ენობრივ კომპეტენციაზე გასვლის საშუალებას. პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია უნარების გამომუშავებაზე - ორ სემესტრში სტუდენტი ვერ გახდება თარჯიმანი.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამად პროგრამაზე 3 სტუდენტი ირიცხება, მათ ერთი სემესტრი დარჩათ პროგრამის დასრულებამდე. შესაბამისად, დაწესებულებამ მოითხოვა, აკრედიტაციის მინიჭება მიღვეად რეჟიმში.

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ პროგრამა არ არის რეგულირებადი, შესაბამისად პროგრამის განხორციელებისათვის აკრედიტაციის გავლა არ არის სავალდებულო. სტუდენტები

შედლებენ სწვალის გაგარძელებას (თუმცა ვერ მიიღებენ სახელმწიფო გრანტს), ან შეუძლიათ ისარგებლონ მობილობის უფლებით.

ამასთან სხდომაზე წარმომდგენელმა დაადასტურა რომ პროგრამას პირველად არ იმატებდნენ, არამედ წარმოდგენილი ჰქონდათ ავტორიზაციის დროსაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექსტის რეფერირებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

13. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია პროგრამის მიერ განვითარებული კომპეტენციები უკეთ მოერგოს დასაქმების სფეროების მოთხოვნებს;
- სასურველია პროგრამა უზრუნველყოფდეს კურსების არჩევითობას;
- სასურველია შეთავაზებული სასწავლო კურსები უფრო მკაფიო შესაბამისობაში მოვიდეს მიზნებთან და კომპეტენციებთან, რომლებსაც პროგრამა ავითარებს. მაგალითად: მიზნებით არის გათვალისწინებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შესწავლა და ტექნოლოგიების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, რაც არ არის გათვალისწინებული არ არის სასწავლო კურსებით.
- სასურველია ამოღებულ იქნეს ისეთი კურსები, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებას არ ემსახურება (მაგ: თარგამანის თეორია);
- უმჯობესი იქნება პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში განსაზღვროს რა მაპროფილებელ გამოცდის ჩაბარება მოითხოვება სტუდენტს. უცხო ენის ცოდნა არ არის განსაზღვრული, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, გაუგებარი ხდება როგორ განისაზღვრება სტუდენტის უცხო ენის ცოდნის დონე, რათა შემდგომში ცალკეული საგნები უცხო ენაზე იქნეს შეთავაზებული, როგორც ეს პროგრამითაა გათვალისწინებული. ამდენად მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებდეს შესაბამისი უცხო ენის საჭირო დონეზე ცოდნის შემოწმებას;
- სასურველია კურსები "მასკომუნიკაციის კვლევები-1" და "მასკომუნიკაციის კვლევები-2" ითვალისწინებდეს კვლევის მეთოდების უფრო დეტალურ სწავლებას;
- სასურველია სილაბუსებში გამიჯნულ იქნას ლექციისა და სემინარების თემატიკა და სილაბუსებში მკაფიოდ იქნეს მოცემული საათების გადანაწილება;
- სასურველია კურსების სილაბუსებში გამჭვირვალედ აიხასოს შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები; ხშირ შემთხვევაში, შეფასების მეთოდები გათვლილია ზუსტ მეცნიერებებზე და არ შეესაბამება სოციალური მეცნიერებების სწავლებას. აუცილებელია შემუშავდეს სოციალური მეცნიერებისათვის მისაღები შეფასების მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს მკაფიო და გამჭვირვალე შეფასებასა და უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.;
- სასურველია შეფასების მეთოდების უფრო მკაფიო გაწერა. პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსების უმეტესობაში არ არის გაწერილი, შეფასების ფორმებს (გამოცდები, ყოველკვირეული შეფასებები და ა.შ.) რა ხვედრითი წილი აქვს საბოლოო ქულის ფორმირებაში. სტუდენტებისათვის შეფასების პროცესის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მკაფიოდ გაიწეროს თითოეული კურსის შეფასების მეთოდები.
- სასურველია სილაბუსებში გაწერილი იყოს პროფესორ-მასწავლებლების კონსულტირების საათები;
- პროგრამა ითვალისწინებს 2 კურსს უცხოურ ენაზე, თუმცა დანარჩენი კურსების სილაბუსები არ ითვალისწინებს უცხოურ აკადემიურ ლიტერატურას, შესაბამისად არ არის ნათელი როგორ ხდება შესასწავლი სფეროს შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება - სასწავლო მასალა საკმაოდ მწირია და ხშირ შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ ქართულ ლიტერატურას. შესაბამისად, სასურველია აკადემიური ლიტერატურის დახვეწა, რათა მოხდეს საერთაშორისო მიღწევებისა და გამოცდილების სწავლება და პროგრამის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- უმჯობესი იქნება ელექტრონული ბიბლიოთეკებზე და კატალოგებზე მოხდეს წვდომის გაუმჯობესება.

-სასურველია პროგრამასა და ცალკეული კურსების სილაბუსებში დაკონკრეტებული იქნას სწავლის მეთოდები, რომელნიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ამა თუ იმ კურსისა და მთლიანად პროგრამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან;

-სასწავლო მასალა საკმაოდ მწირია და ხშირ შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ ქართულ ლიტერატურას. შესაბამისად, სასურველია აკადემიური ლიტერატურის დახვეწა, რათა მოხდეს საერთაშორისო მიღწევებისა და გამოცდილების სწავლება და პროგრამის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების მანიშნებელია და მოითხოვს ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

14. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

-პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ბუნდოვნად და არ იძლევა უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის შეფასების საშუალებას.

-პროგრამაში არ არის გათვალისწინებული დარგობრივი არჩევითი დისციპლინების არსებობა. დარგობრივი სასწავლო კურსების დასახელება და მიზანი ზოგადია, ხოლო მათი შინაარსი უმთავრესად წარმოადგენს სხვადასხვა მათემატიკური დისციპლინების ნაკრებს. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების სრულყოფილი მიღწევა საეჭვოა.

-პროგრამაში შემავალი მათემატიკის მიმართულების სასწავლო კურსები წარმოდგენილია განზოგადოებული სათაურებით და მოიცავენ მათემატიკის სხვადასხვა ქვედარგების საკითხების ნაკრებს. ხშირ შემთხვევაში საკითხების ერთ დისციპლინაში გაერთიანების ლოგიკა გაურკვეველია. სასწავლო კურსების მიზნები და შედეგი არ ეთანადება ერთმანეთს. გაურკვეველია საგნის „ინოვაციური მენეჯმენტი“ აუცილებლობა პროგრამაში და მისი როლი პროგრამის მიზნის მიღწევაში.

უმადლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის მიღწევა საეჭვოა.

-სწავლის მეთოდები წარმოდგენილია მწირი სახით და უმთავრესად უნიფიცირებულია ყველა დარგის დისციპლინისათვის. ასე მაგალითად:

სწავლების მეთოდები:

ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე მუშაობა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმების და მეთოდების განმარტებები თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/pdf/sc.pdf>

რაც ვერ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ;

- პროგრამაში შემავალი დისციპლინების უმრავლესობის დასახელება ზოგადია (სასკოლო მათემატიკა 1, სასკოლო მათემატიკა 2, მათემატიკის სასკოლო კურსის თეორიული საფუძვლები 1, მათემატიკის სასკოლო კურსის თეორიული საფუძვლები 2) და შესაბამისად წინაპირობები უმთავრესად ფორმალურია და არა შინაარსობრივი.

-პროგრამაში სასწავლო კურსების შეფასების სისტემა იდენტურია სტუ-ის ამჟამად მოქმედი შეფასების სიტემის, რომელიც შედგენილია ნორმატული დოკუმენტების საფუძველზე. თუმცა სილაბუსებში არ არის მოცემული რა კომპონენტებით ხდება ცოდნის შეფასება.

-ცოდნის შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადადაა გაწერილი, არ ხდება მათი დაკონკრეტება კონკრეტული საგნისათვის გამომდინარე მისი სპეციფიკიდან, რაც ვერ უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალებასა და ხელმისაწვდომობას სტუდენტებისათვის.

-ლიტერატურა მწირია და წარმოდგენილია არა შესაბამისი დონის სახელმძღვანელოებით. მაგალითად ერთერთი საგნის ძირითად ლიტერატურას წარმოადგენს სახელმძღვანელო, რომელიც აბიტურიენტთა მოსამზადებელი სახელმძღვანელოა (ს. თოფურია, ვ. ხოჭოლავა, ნ. მაჭარაშვილი, გ. აბესაძე, ზ. მეტრეველი, მათემატიკა, ნაწილი I და II, თბილისი, 2009), რიგი სახელმძღვანელოები „სხვა ეპოქისაა“ (ფ. ხარშილაძე, მათემატიკის სასკოლო კურსის

თანამედროვე საფუძვლები, თბილისი, 1981, 247 გვ. 51(075) /9, ა. ხარაბაძე, სამუშაო წიგნი მათემატიკაში, თბილისი, 1931, 106 გვ. 51(02)/28, ვ. ქელბაქიანი, მათემატიკის ამოცანათა კრებული, 1983, 394 გვ. 51(076)/107).

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დონის მათემატიკის ცოდნით ხდება მაგისტრის ხარისხის მინიჭება. პროგრამა სტუდენტს არ სთავაზობს არჩევითობას, აგრეთვე ერთ-ერთ ლიტერატურად მითითებულ აბიტურიენტების მომზადებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო. ამასთან ამ დარგში არსებობს სხვა ლიტერატურა, რომელიც უფრო ადექვატურია ამ საფეხურისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა არ იყო ორიენტირებული მათემატიკის სწავლებაზე, არამედ აქცენტი კეთდებოდა სწავლების მეთოდებზე. შესაბამისად მაგისტრის წოდების მინიჭება არ ხდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცოდნის დონით. ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი აზრით ექსპერტის მიერ დასახელებული ლიტერატურა არ არის ადექვატური.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე ირიცხება ორი მაგისტრანტი და მოითხოვა პროგრამისათვის აკრედიტაცია მინიჭებულიყო მიღევად რეჟიმში, 2 წლის ვადით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის სამაგისტრო უარი ეთქვს აკრედიტაციაზე.

15. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

-დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები საქართველოს საპატრიარქოს რადიო "ივერია"-სთან (06/08/2012 - 06/08/2013) და ჟურნალი "ფენომენთან" (06/08/2012 - 06/08/2014), სასურველია დაკონკრეტდეს მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის კონკრეტული შედეგები;

-სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით დოქტორანტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა. სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების და რაც მთავარია ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ფართო არჩევანი;

-უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, სასურველია პროგრამის ფარგლებში გააქტიურდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

-სასურველია, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის პროგრამაში ჩაიწეროს მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა (ამ რაოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო).

-სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით.

-სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორების სამეცნიერო ნაშრომები განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამის ვებ-გვერდზე (www.gtu.ge/mecniereba);

-სასურველია მოხდეს ტერმინების დაზუსტება. მაგალითად, ნაცვლად ტერმინისა „სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები“ დაიწეროს „სწავლის შედეგები/კომპეტენციები“. ასევე, სასურველია „მასობრივიკომუნიკაციისმცოდნეობა“ არ იყოს წარმოდგენილი ერთ სიტყვად, რადგან კომპოზიტის მართლწერა მოითხოვს, რომ მსაზღვრელი („მასობრივი“) გაემიჯნოს სიტყვათა შეთანხმებას („კომუნიკაციისმცოდნეობა“).

-სილაბუსებში შეფასების კომპონენტებს წარმოადგენს 2 შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა. ამასთან, სილაბუსების მიხედვით, ლექციებზე გამოიყენება დისკუსია-დებატების მეთოდი. სასურველია, შეფასების კომპონენტებში ეს აქტივობა იყოს ასახული.

-სასურველია, შემუშავდეს დოქტორანტის სემინარის, კოლოქვიუმის, პროფესორის ასისტენტობის შეფასების წესები;

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია, შემუშავდეს დოქტორანტის სემინარის, კოლოქვიუმის, პროფესორის ასისტენტობის შეფასების წესები;
- სასურველია დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების წინაპირობები და მომავალში, პროგრამაზე მხოლოდ სოციალურ მეცნიერებებში ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა მიღება განხორციელდეს - რადგან ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, რომელთაც არანაირი წარმოდგენა არ აქვთ სოციალურ მეცნიერებებზე, თეორიებსა და კვლევის მეთოდებზე, ვერ გახდებიან სრულფასოვანი მკვლევარები.
- სასურველია, მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის პროგრამაში ჩაიწეროს მისაღები კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა (ამ რაოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო).
- სასურველია, გაიყოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“. ცალკე იყოს წარმოდგენილი „აკადემიური წერა“ და ცალკე „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“;
- სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსი „პიროვნება, პოლიტიკა, საზოგადოება“, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა დარგის დისციპლინების - მარკეტინგის, კულტურული ანთროპოლოგიის და პოლიტიკის ხელოვნური ნარევია;
- სასურველია, არჩევითი სადოქტორო სასწავლო კურსები გახდეს უფრო მრავალფეროვანი, რათა დოქტორანტმა შეძლოს არჩევა სოციალურ მეცნიერებათა სფეროს ამა თუ იმ დარგის შესაბამისად;
- სწავლის შეფასების ფორმები ყველა საგანში ერთგვაროვანია. სასურველია მოხდეს გამრავალფეროვნება და სილაბუსებში მიეთითოს - თითოეულ აქტივობას რამდენი ქულა ენიჭება;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით დოქტორანტებს უზრუნველყოფს დაწესებულების ბიბლიოთეკა. სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების და რაც მთავარია ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ფართო არჩევანი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებულ შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების მანიშნებელია და მოითხოვა ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

17. ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზანი მეტ-ნაკლებად მიღწევადია შემოთავაზებული სახით განხორციელების შემთხვევაში (დასახვეწია პროგრამის სასწავლო კომპონენტის შინაარსი);

- სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტების შინაარსი ნაკლებად უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

- სასურველია აკადემიური პერსონალის მხრიდან გაგრძელდეს კომპეტენციების მატრიცაზე, მიზნების და შედეგების ფორმულირებაზე მუშაობა მისი შემდგომი დახვეწის და დაზუსტების მიზნით;

- პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა ნაკლებად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით;

- წარმოდგენილი სახით პროგრამის განხორციელებით მიღწეული სწავლის შედეგები სავარაუდოდ, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე;

- პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა, თუმცა დასაზუსტებელი. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის. ამასთან, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა არ ითვალისწინებს რაიმე სახის შეზღუდვას. სასურველია ჩარიცხვის წინაპირობა დაზუსტდეს დაახლოებით ამ სახით: ... კანდიდატს უნდა გააჩნდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფილოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში/, კულტურის კვლევებში / რეგიონმცოდნეობაში / განათლების მეცნიერებებში.

- სადოქტორო პროგრამაზე გამოყენებულია სწავლების მეთოდები - ლექცია, თემატური სემინარების პრეზენტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა, კვლევითი კომპონენტები - მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;

- საგულისხმოა, რომ არის სემესტრები (მაგ.: მესამე, მეოთხე), როცა სემინარიც აქვს მოსამზადებელი დოქტორანტს (რომელიც მისი სადისერტაციო კვლევის ნაწილი არაა) და კოლოკვიუმიც (რომელიც მისი დისერტაციის უშუალო ნაწილია). უმჯობესი იქნება დოქტორანტის სემინარის და კოლოკვიუმის ისე გაწერა, რომ ორივეს ერთდროულად არ ასრულებდნენ ერთსა და იმავე სემესტრში, რადგან ეს ნაშრომის ხარისხზე იმოქმედებს;

- სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოების და ელექტრონული ბაზების კიდევ უფრო ფართო არჩევანი.

- სასურველია, შეფასების გარადა შუალედური შეფასებებისა (30-30 ქულა) და ფინალური გამოცდისა (40 ქულა) დაემატოს სხვა აქტივობებიც;

- სასურველი იქნებოდა, პროგრამაში გაწერილი იყოს დოქტორანტის სემინარისა და კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმებიც;

- სასურველია, პროგრამა ითვალისწინებდეს „ფილოლოგიურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების“ სწავლებას;

- სასწავლო კომპონენტი მხოლოდ ერთი არჩევითი კურსის მოსმენას ითვალისწინებს. სასურველი იქნებოდა თავისუფალი კრედიტის შეთავაზებაც;

- სასურველია, პროგრამის სასწავლო კომპონენტი იმგვარად იყოს გაწერილი, რომ მართლაც შესაძლებელი იყოს პროგრამის მიზნებში მითითებული ქვედარგების გამოკვეთა (თეორიული და ზოგადი ენათმეცნიერება; ლიტერატურათმცოდნეობა და კულტურული ურთიერთობები; ლინგვოდიდაქტიკა);

- სასურველია, პროგრამას ერთვოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი დოქტორანტის მიღება შეუძლია უნივერსიტეტს აღნიშნული მიმართულებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხი უპირატესად ორიენტირებულია პედაგოგიურ საქმიანობაზე და არა სამეცნიერო მოღვაწეობაზე. ამას ადასტურებს თვით აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებები, სადაც მითითებულია, რომ პირი ვალდებულია განახორციელოს პედაგოგიური (და არა სამეცნიერო) საქმიანობა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №553 გადაწყვეტილებით (28.09.12, სხდომის ოქმი №14), მიენიჭა აკრედიტაცია მიღწევად რეჟიმში 2 წლის ვადით. გიორგი ცხვედიანმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, დღის წესრიგის მე-17 საკითხად განხილული პროგრამა (ფილოლოგიის სადოქტორო) წარმოადგენდა ახალ პროგრამას (რომელიც მიღწევად რეჟიმში მყოფი პროგრამისაგან დამოუკიდებლად შემუშავდა), თუ მოხდა მიღწევად რეჟიმში აკრედიტაციამინიჭებული პროგრამის ხელახალი შემოტანა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დღის წესრიგის მე-17 საკითხად განხილული პროგრამა წარმოადგენდა იგივე პროგრამას, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 28 სექტემბრის №553 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია მიღწევად რეჟიმში.

18. (ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

-პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, მაგრამ, რადგან პროგრამა ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხს (სპეციფიკური სფეროს - სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტის მიმართულებით), სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა, რაც იქნება მყარი საფუძველი სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

-პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სასურველია, კურიკულუმში უფრო მეტად დაკონკრეტდეს სამთო საქმისა და გეოლოგიის მენეჯმენტის სფეროს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები - ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები.

-სასურველია სადოქტორო სწავლებაში მაქსიმალურად იქნას გამოყენებული უახლესი უცხოენოვანი დარგობრივი ლიტერატურა, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს შესაბამისი საგნების სილაბუსებში ძირითადი თუ დამატებითი ლიტერატურის სახით.

-საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს სწავლების, სწავლის, კვლევითი აქტივობებისა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ კუთხით, საწყის ეტაპზე სასურველია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.

-სასურველია სასწავლო კურსი "აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები" (5 კრედიტი) გაიყოს ორ დამოუკიდებელ სასწავლო კურსად "აკადემიური წერა" და "სამეცნიერო კვლევის მეთოდები", ამ უკანასკნელში კი მეტი კონკრეტულობით აისახოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სამეცნიერო კვლევის მეთოდები.

-პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულ იქნას ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აკადემიური პერსონალი.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობების მანიშნებელია და მოითხოვა ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

დაიწყო 10:45- სთ-ზე

დასრულდა 11:10 - სთ-ზე

19. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები და შედეგები ვრცლადაა გაწერილი. უმჯობესი იქნება, მათი დაკონკრეტება, გაზომვადი და კონკრეტულად მიღწევად მიზნებად გაწერა. აქედან გამომდინარე, სასწავლო გეგმაში არის 3 და 6 კრედიტიანი საგნების ვრცელი ჩამონათვალი, რაც გადახედვასა და მიზნებიდან გამომდინარე საგანთა მოცულობის გაზრდას ან ზოგ შემთხვევაში შემცირებას საჭიროებს.

- საბაკალავრო ნაშრომისთვის შემუშავებულია 6 კრედიტიანი (150 სთ) სილაბუსი, რომელიც საბაკალავრო პროგრამით გამომუშავებული კომპეტენციების პრაქტიკულად დემონსტრირების საშუალებაა, სასურველია ან გაიზარდოს მისი მოცულობა, სტუდენტის მიერ მოხდეს კონკრეტული ნოზოლოგიის ძირფესვიანად შესწავლა, შესაბამისი სტრატეგიების ჩამოყალიბება, დამუშავება და პერზენტაცია ან შეიცვალოს სხვა სასწავლო კურსით.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსიდან და მისალწვევი მიზნებიდან გამომდინარე.

- პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაგან ერთი არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მისი პროგრამაში ჩართულობა მნიშვნელოვანია, შესაბამისად, პროგრამა წარმოდგენილია მეტწილად ინკლუზიური განათლების სამედიცინო მოდელის ფორმატით, სასურველი იქნება თუ პროგრამით ინკლუზიური განათლების სოციალური მოდელის სრულყოფა მოხდება, რაც პროგრამაში განათლების მიმართულებით მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვის შედეგად მიიღწევა.

- პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პრაქტიკის განხორციელების მიზნით სკოლებთან და სარეაბილიტაციო/სამედიცინო ტიპის ცენტრებთან თანამშრომლობა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, პროგრამის ფარგლებში, სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება მოხდეს არა სამედიცინო მოდელის მიმართულებით არამედ კონკრეტულად განათლების მიმართულებით, მისანიჭებელი ხარისხის შესაბამისად.

- სასურველია მოხდეს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისა და მოდულების წინაპირობების სისტემის სრულყოფა და ხელახალი გააზრება თანმიმდევრობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტიდან 60 კრედიტი ეთმობა Minor-ის დამატებით პროგრამას. სასურველი იქნება თუ ეს 60 კრედიტი შეივსება თვით ეკონომიკის პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსებითაც, რათა მეტი არჩევითობის საშუალება ჰქონდეს სტუდენტს. ანუ, თუ სტუდენტს არ სურს რომელიმე დამატებითი სპეციალობის არჩევა, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა 240 კრედიტის ფარგლებში ცოდნა გაიღრმავოს ძირითად სპეციალობაში.

- სასურველი იქნება გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამაში ზოგიერთ ადგილას მითითებული ფინალური გამოცდის ნაცვლად, ჩაიწეროს დასკვნითი გამოცდა.

- სასურველი იქნება პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი, მართალია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსების შედეგებში გაწერილია, რომ სტუდენტი იღებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპეტენციას, მაგრამ ჩვენ ვთვლით და სტუდენტებთან ინტერვიუებმაც დაადასტურა, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლა სხვადასხვა ობიექტებზე, გაცილებით უკეთ გამოუმუშავებდა მათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

- თთქმის ყველა სასწავლო კურსის ავტორს რეკომენდაციას ვაძლევთ გადაიხედოს სწავლის შედეგები, კერძოდ: ა) ყველა სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ზოგადი კომპეტენციების ნაწილში ერთნაირია და არ გამომდინარეობს სასწავლო კურსების შინაარსიდან;

ბ) ყველა სილაბუსში კომუნიკაციის უნარში მითითებულია,“ თავისუფლად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს“ თუმცა კურსის შინაარსიდან გამომდინარე, გაურკვეველი ხდება, როგორ უვითარდება სტუდენტს ეს უნარი.

- ყველა სასწავლო კურსის შინაარსით სწავლების მე-16 კვირას გათვალისწინებულია პრეზენტაცია, რომელსაც 4 საკონტაქტო საათი ეთმობა. სასურველი იქნება, თუ საათების ეს რაოდენობა გამოჩნდება საკონტაქტო საათების ჩაშლაში, რომელიც სილაბუსის პირველ გვერდზეა მოცემული.

- სასურველია შეიცვალოს minor (დამატებით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩანაწერს - დაიშვება „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრი“ დამატოს -ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტების გარდა - ვინაიდან ეკონომიკის დამატებით პროგრამასა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში გვხვდება ერთნაირი სასწავლო კურსები.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში არ ჩანდა როგორ ხდებოდა კომუნიკაციის უნარის გამომუშავება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს. ამასთან მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეკონომიკის დარგი მეცნიერებაზეა ორიენტირებული და პრაქტიკული კომპონენტი არ არის სავალდებულო.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

შენიშვნები:

აუცილებელია დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები, მითუმეტეს, რომ ზოგ შემთხვევებში, პროგრამაში მითითებული წინაპირობები თავად სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებს არ ემთხვევა, მაგალითად:

- სასწავლო კურსი „საგადასახადო საქმე“ ფინანსური დისციპლინაა და მისი წინაპირობა (როგორც ეს პროგრამაშია მითითებული), არ უნდა იყოს „ბიზნესის საფუძვლები“. სილაბუსის მიხედვით ამ სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობაა „ეკონომიკური თეორია“, „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“, რაც უფრო გამართლებულია, ვიდრე წინაპირობად „ბიზნესის საფუძვლების“ სწავლება;

- „სამეწარმეო სამართლის“ წინაპირობა არ უნდა იყოს „ბიზნესის საფუძვლები“;

- „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ წინაპირობა არ შეიძლება იყოს „მაკროეკონომიკის პრინციპები“;

- „საერთაშორისო ფინანსების“ წინაპირობა არ უნდა იყოს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ (სილაბუსში მითითებულია, რომ ამ სასწავლო კურსს არა აქვს წინაპირობა);

- დაუშვებელია „კორპორაციული ფინანსების“ წინაპირობა იყოს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“, პირიქით, „კორპორაციული ფინანსების“ სწავლება წინ უნდა უსწრებდეს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სწავლებას;

- „სადაზღვევო საქმე“ ფინანსური დისციპლინაა და არ შეიძლება მისი წინაპირობა იყოს მხოლოდ „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში I“ და „საგადასახადო საქმე“. ფინანსური დისციპლინების შესწავლამდე აუცილებელია სტუდენტებს ნასწავლი ჰქონდეთ „ფინანსების თეორია“ მაინც.

დამატებით (minor) პროგრამაში ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის:

- შეუძლებელია „საბანკო საქმის“ წინაპირობა იყოს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“;

- დამატებით (minor) პროგრამაში არაეკონომიკური სპეციალობის სტუდენტებისათვის: სასწავლო კურსს „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ წინაპირობა არა აქვს, ხოლო „მენეჯმენტის საფუძვლების“ წინაპირობაა „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“. ეს დაუშვებელია, ვინაიდან ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა შეუძლებელია მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნის გარეშე; „ბიზნესის

ორგანიზაცია და მართვა“ არ უნდა იყოს „მარკეტინგის საფუძვლების“ წინაპირობა;

- „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებს“ და „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებს“ ერთსადამივე, VI სემესტრში ასწავლიან. „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ სწავლება მე-6 სემესტრში დაგვიანებულია და ამ ორი საგნის პარალელურად სწავლება, კატეგორიულად დაუშვებელი.

- „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ შემდეგ ასწავლიან „ფინანსურ აღრიცხვას-1“, რაც ასევე გაუმართლებელია. „ფინანსური აღრიცხვა-1“ უნდა ისწავლებოდეს „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ შემდეგ, ხოლო „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“ „ფინანსური აღრიცხვა-2“ შემდეგ, თუმცა ამ საგანს მაგისტრატურაში ასწავლიან.

- შეუძლებელია „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სწავლება „კორპორაციის ფინანსების“ სწავლების გარეშე.

მთელი რიგი უზუსტობებია სილაბუსებში საათების განაწილებასა და შეფასების კრიტერიუმებში:

- „მიკროეკონომიკის პრინციპების“ სილაბუსში მითითებულია, რომ 65 საკონტაქტო საათიდან 10 საათი პრაქტიკულ მეცადინეობებს ეთმობა, თუმცა როგორც შეფასების კრიტერიუმებიდან ჩანს, ეს კომპონენტი საერთოდ არ ფასდება;
- „მაკროეკონომიკის პრინციპების“ სილაბუსის მიხედვით, ნაცვლად 10 საათი პრაქტიკული მეცადინეობისა, რეალურად ტარდება 6 საათი და არ ფასდება ქულებით. პროგრამის ხელმძღვანელის გადმოცემით, დარჩენილ 4 საათში, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, XVI კვირას პრეზენტაციები ტარდება, რაც საერთოდ არ არის სილაბუსში მითითებული;
- ამავე სილაბუსის შეფასების სისტემის გრაფაში მითითებულია საშინაო დავალება, რომელიც 5 ქულით ფასდება, თუმცა არ არის მითითებული, როგორ და რა კრიტერიუმებით ფასდება ეს აქტივობა;

სილაბუსების უმეტესობაში არის შემდეგი სახის უზუსტობები:

- სასწავლო კურსის კრედიტების გრაფაში მითითებულია, რომ სემინარები ტარდება 20 საათის ოდენობით, თუმცა როგორც სასწავლო კურსის შინაარსიდან ირკვევა, რეალურად ტარდება არა 20, არამედ 14 საათი;
- სასწავლო კურსის კრედიტების გრაფაში მითითებულია, რომ ლექციები ტარდება 30 საათის ოდენობით, თუმცა როგორც სასწავლო კურსის შინაარსიდან ირკვევა, რეალურად ტარდება არა 30, არამედ 28 საათი;
- სასწავლო კურსის ფორმატიდან ჩანს, რომ საკონტაქტო დრო კვირაში 4 საათია, სასწავლო კურსის შინაარსიდან ირკვევა, რომ რეალურად ხან 4 საათი ტარდება, ხან კი –2.
- სილაბუსის „მიკროეკონომიკა-I“ –სასწავლო კურსის კრედიტების გრაფაში მითითებულია, რომ პრაქტიკული მეცადინეობებისთვის სემესტრში გათვალისწინებულია 15 საათი, სემინარებზეც – 15 საათი. სასწავლო კურსის ფორმატში მითითებულია, რომ ტარდება ლექციები კვირაში 2 საათი და პრაქტიკული მეცადინეობები (და არა სემინარები), ასევე 2 საათი. შეფასების კრიტერიუმებიდან ირკვევა, რომ არ ფასდება პრაქტიკული მეცადინეობები და ფასდება სემინარები, რომლებიც სასწავლო კურსის შინაარსის თანახმად რეალურად საერთოდ არ ტარდება (ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები).
- როგორც „მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსიდან ირკვევა, კვირაში 2 საათი ლექციაზეა გათვალისწინებული და 2 საათი პრაქტიკულ მეცადინეობებზე. რეალურად ტარდება სემინარებიც, რაც სასწავლო კურსის ფორმატში გათვალისწინებული არ არის.
- სილაბუსში „ინოვაციების მენეჯმენტი“ –სასწავლო კურსის კრედიტების გრაფაში გათვალისწინებულია ლექციები 30 საათი და სემინარი/დისკუსია–30 საათი; სასწავლო კურსის ფორმატში ნაცვლად სემინარი/დისკუსიისა გათვალისწინებულია პრაქტიკული მეცადინეობები. ცოტა გაურკვეველია, ჩვეულებრივ სასემინარო მეცადინეობებს რატომ ქვია პრაქტიკული მეცადინეობები. 30 ქულით ფასდება აქტიურობა, რომელშიც მოიაზრება სემინარი/დისკუსია და არა პრაქტიკული მეცადინეობები და პრეზენტაცია;
- სილაბუსში „საინვესტიციო მენეჯმენტი“ – ლექციაზე 30 საათია გათვალისწინებული, სემინარი/დისკუსიაზეც- 30 საათი; სასწავლო კურსის ფორმატში მითითებულია, რომ ტარდება ლექციები, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები, თუმცა, როგორც სასწავლო კურსის შინაარსიდან ირკვევა, პრაქტიკული მეცადინეობები საერთოდ არ ტარდება. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს ეძლევა 20 ქულიანი საკითხი პროგრამული მასალიდან, რომელიც არ არის ქულობრივად ჩაშლილი. სასურველია არა მხოლოდ ამ კომპონენტის, არამედ სემინარების 10 ქულიანი შეფასებაც ზუსტად იყოს გაწერილი, რა შემთხვევაში და რისთვის იღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას. აღნიშნული პრობლემა არის სილაბუსების უმრავლესობაში.
- სილაბუსის „საერთაშორისო მარკეტინგი“ შეფასების კრიტერიუმების ნაწილში რამდენიმე გაურკვეველი ჩანაწერი იკითხება, კერძოდ: აქტიურობა - 30 ქულა: სემინარი - 15 ქულა, პრეზენტაცია – 10 ქულა; აქტიურობა– 0-30 ქულა. სემინარი/პრაქტიკული მეცადინეობა - 15 ქულა. საპრეზენტაციო თემა (15 ქულა).
- სასწავლო კურსების „ბიზნესის საფუძვლები“ და „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“ მიზნები (სიტყვა–სიტყვით), შედეგები (თითქმის), სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა აბსოლუტურად იდენტურია.
- თითქმის ყველა სილაბუსის სასწავლო კურსის ფორმატში მითითებულია რა დრო სჭირდება საშინაო დავალების/რეფერატის მომზადებას, თუმცა არცერთ მათგანში არ არის გათვალისწინებული დრო, რომელიც სჭირდება რეფერატების დაცვას. აღნიშნული ან ლექციების ხარჯზე ხდება, ან სემინარების და ან პრაქტიკული მეცადინეობების, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სასწავლო კურსის ფორმატში ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გათვალისწინებული დრო არ არის ზუსტი.
- ჩანაწერი თვითშეფასების ანგარიშში (4.4) „საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პროფესორებისა და მოწვეული მასწავლებლების სილაბუსებში მოცემული სასწავლო მასალა ძირითადად უცხოელი მკვლევარების ნაშრომებს ეფუძნება, სილაბუსებით არ დასტურდება (არცერთ სილაბუსში ინფორმაცია სასწავლო მასალების შესახებ არ არის მითითებული).

- პრობლემად რჩება უცხო ენაზე სასწავლო კურსების შეთავაზების საკითხი, რაც დაკავშირებულია კომპეტენტური აკადემიური პერსონალის სიმცირესთან და სტუდენტთა უცხო ენის ცოდნის დაბალ დონესთან. სასურველია უნივერსიტეტმა იმუშაოს ამ მიმართულებით.

რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის შედეგები ცალკე არ იყოს გაწერილი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისთვის და ცალკე კონკრეტული კონცენტრაციისთვის. ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებული იქნეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისთვის აუცილებელ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, ამ კონცენტრაციის გათვალისწინებით.

- სასურველია საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში დაზუსტდეს სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, ვინაიდან:

ა) ნაცვლად მითითებული 75 კრედიტისა, საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი არის 72 კრედიტი;

ბ) ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსების კრედიტების ჯამი ნაცვლად მითითებული 66 კრედიტისა არის 69 კრედიტი;

- სამომავლოდ საჭიროა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სრულყოფა, თანამედროვე (მათ შორის უცხოენოვანი) ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით სტუდენტთა უზრუნველყოფა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგადასახადო საქმის წინაპირობა უნდა იყოს ბიზნესის საფუძვლები, რადგანაც ჯერ ბიზნესი უნდა იყოს შესწავლილი და შემდეგ გადასახადები. წარმომადგენელმა აგრეთვე განმარტა, რომ „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ და „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების“ ერთი და იმავე სემესტრში სწავლება არ წარმოადგენს პრობლემას, რადგანაც „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ არ წარმოადგენს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ ცალსახა წინაპირობას.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაითვალისწინებს ექსპერტთა შეფასებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

22. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- საჭიროა სტუდენტთა უფრო აქტიური ჩართვა კვლევით საქმიანობაში. კერძოდ გასააქტიურებელია სტუდენტთა ჩართვა სასწავლო და საკვლევო ტიპის თემებში, სემინარულ და საკონფერენციო მუშაობაში
- საჭიროა უცხოურ უნივერსიტეტებთან აქტიური მუშაობა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დამუშავება
- სასურველია კომპეტენციების რუკა თან ახლდეს საბაკალავრო პროგრამას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდები, კრედიტების მოცულობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. თუმცა მათემატიკური საგნების ხვედრითი წილი დიდია, რაც არ წარმოადგენს აუცილებლობას „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ პროგრამისათვის. მიზანშეწონილი იქნება ამ საგნების არჩევით ბლოკში გადატანა.

- პროგრამაში არაა რიგი დისციპლინები, რომელიც აუცილებელია დარგისათვის (მონაცემთა სტრუქტურები, ალგორითმები), თუმცა მცირე სახით საკითხები წარმოდგენილია სხვადასხვა სილაბუსებში. სასურველია ამ საგნების ცალკე გამოყოფა და გაძლიერება.

- ზოგი დისციპლინების დასახელება და შინაარსი მოითხოვს ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანას და დაზუსტებას (მაგალითად: დაპროგრამება Visual Studio- ში, კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები) ,

- რიგი საგნები საჭიროებენ მოცულობის შეცვლას და ურთიერთგადამფარავი საკითხების განცალკევებას (დაპროგრამების საფუძვლები და დაპროგრამების ენები I);

- ცოდნის შეფასების სისტემა საგანმანათლებლო პროგრამაში უმთავრესად ზოგადდააა გაწერილი, სასურველია კონკრეტული დისციპლინისთვის გათვალისწინებული იყოს დარგობრივი სპეციფიკა და მოხდეს შეფასების სისტემის კონკრეტიზაცია.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გაეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია მინიმალურად (რაც არ არღვევს აკრედიტაციის სტანდარტს), თუმცა მიზანშეწონილია მოხდეს ამ საკითხების უფრო ღრმად შესწავლა, რისთვისაც მას უნდა გამოეყოს ცალკე სასწავლო კურსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებზე სტუდენტები დაიშვებიან საფაკულტეტო არჩევითი კურსებიდან მხოლოდ ფიზიკის შესავალის, ბიოლოგიის შესავალისა და ქიმიის შესავალის არჩევის შემთხვევაში. სტუდენტებს, რომლებიც სწავლის პირველივე სემესტრში საფაკულტეტო არჩევითი კურსებიდან აირჩევენ გეოგრაფიის შესავალს, მეორე სემესტრში ეზღუდებათ ძირითად სპეციალობად ბიოლოგიის არჩევის საშუალება, იზღუდება სტუდენტის მობილობაც ფაკულტეტის შიგნით (შიდა მობილობა). შეზღუდულია დამატებითი სპეციალობის არჩევანის საშუალებაც. აღნიშნულის გათვალისწინებით სასურველია სტუდენტებს პირველ სემესტრში საშუალება მიეცეთ საფაკულტეტო არჩევითი კურსებიდან დაეუფლონ ოთხივე საგანს. პირველ სემესტრში არჩევანის შეზღუდვით სტუდენტს მეორე სემესტრიდან მნიშვნელოვნად გაუფართოვდება არჩევანის არეალი.

- ერთეული საწავლო კურსის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალის 30-50% მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურითაა წარმოდგენილი. შესაბამისი აკადემიური პერსონალის ინტერვიუებისას წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზე ნათარგმნი, გამოსაცემად მომზადებული ლიტერატურული მასალა.

- საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურისა და სილაბუსებში აღნიშნული დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით სასურველია ორი სასწავლო კურსის გადანაცვლება, ვიზიტის პერიოდში პროგრამის ხელმძღვანელმა გაითვალისწინა აღნიშნული მითითება.

თავმჯდომარემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჰკითხა ექსპერტს ბიოლოგიის პროგრამის არჩევის შემთხვევაში, პროგრამის ამჟამინდელი სტრუქტურით, თუ მოხდებოდა შედეგზე გასვლა. ექსპერტმა სოფო უჩანეიშვილმა განმარტა რომ მხოლოდ შესაბამისი წინაპირობის არჩევის შემთხვევაში სტუდენტის შეძლებს ბიოლოგიის პროგრამის გავლას. სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტს სთავაზობენ ოთხ სასწავლო კურსს, რომელთა მიზანი ცნობიერების გაღვივებაა. ამასთან აღნიშნული სასწავლო კურსების უფრო სიღრმისეული შესწავლა, მოგვიანებით, შემდგომ სემესტრებში ხდება.

საბჭოს წევრმა ირაკლი გამყრელიძემ განაცხადა, რომ პროგრამის ამგვარი სტრუქტურით სტუდენტმა პირველივე სემესტრიდანვე უნდა განსაზღვროს ის შესაძლო მიმართულება, რომელიც იგი აირჩევს. თუმცა უკეთესი იქნებოდა, რომ მოგვიანებითაც შესძლებოდა არჩევანის გაკეთება.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის დაწყების პირველივე დღეებში ხდება სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრა და ახსნა თუ რა შეიძლება მოყვეს შემდგომ ამა-თუ იმ საგნის აურჩევლობას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

23:50 - სთ-ზე თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს სხდომის მომდევნო დღეს (28.12.2012) გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

25. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასწავლო კურსის „ფიზიკის შესავალი“ ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ ერთი კინემატიკის სახელმძღვანელო, როდესაც სილაბუსით შეისწავლება ასევე ტალღები, მოლეკულური ფიზიკა და ოპტიკა და ა.შ. მიზანშეწონილია ლიტერატურის დამატება.

- საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს „საოფისე ტექნოლოგიები“, რომელიც ისწავლება 6 კრედიტის მოცულობით. იგი მოიცავს საოფისე პროგრამების (MS Office) პაკეტის შესწავლას. დროის დიდი ნაწილი ეთმობა MS Word-ის შესწავლას, დანარჩენი დრო კი განაწილებულია MS Excell და Power Point-ის შესწავლისათვის. ამასთანავე, სილაბუსში სასწავლო კურსის მიზანში მითითებულია, რომ საოფისე პროგრამებთან ერთად უნდა ისწავლებოდეს ინტერნეტი და ელ-ფოსტა, თუმცა თემებში იგი არ მოიხსენიება. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი ამოსადებია სასწავლო პროგრამიდან მისი შინაარსიდან გამომდინარე ან შესაცვლელია მისი თემატიკა. უმჯობესი იქნება სტუდენტებს შესწავლონ სპეციალიზირებული (ფიზიკის, ბიოლოგიის) პროგრამები. გარდა ამისა, თვით დასახელება „საოფისე ტექნოლოგიები“ არ არის კორექტული.

- სასწავლო კურსი „ელექტრობა და მაგნეტიზმისადმი“ დათმობილია 3 კრედიტი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი დისციპლინაა, ვიდრე „საოფისე ტექნოლოგიები“. მიმაჩნია რომ მისი კრედიტების გაზრდა მიზანშეწონილია.

- სასწავლო კურსი „სამედიცინო ელექტრონიკის საფუძვლები“ ისწავლება ლექციისა და პრაქტიკული მეცადინეობის სახით. სასურველია, რომ ლაბორატორიული მეცადინეობებიც დაემატოს.

- სასწავლო კურსის შესავალ ნაწილში ზედმატად არის გადატვირთული ისტორიული საკითხების მიმოხილვით. იგი უკვე არის სხვა წინა კურსის სილაბუსებში.

- სასწავლო კურსის „ულტრაბერითი ვიზუალიზაციის ფიზიკური საფუძვლები“ შესავალ ნაწილში ჩემი აზრით სასურველზე უფრო ვრცელად განიხილება საგნის ისტორიული რაკურსები. აჯობებს, თუ იგი ერთი ლექციის სახით შემოიფარგლება.

- სასწავლო კურსის „ბიოსისტემების სპექტროსკოპია“ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა სრულად არ ასახავს თემატიკას. მოყვანილი ბერეჟიანის სახელმძღვანელო სპექტროსკოპიის მხოლოდ თეორიულ ასპექტებს განიხილავს, უმჯობესი იქნება, თუ მიეთითება სპექტროსკოპიის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

- საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია საგანი „ატომური ფიზიკა“, ხოლო შესაბამის სილაბუსში კი „ატომის ფიზიკა“. მართალია ერთიდაიგივე სასწავლო კურსია, მაგრამ სასურველია გასწორდეს დასახელება ერთ-ერთ წყაროში.

- სასურველია შეიცვალოს დასახელები შემდეგი სასწავლო კურსების: „მაგნიტურ რეზონანსული მეთოდები“ და „ლაზერის მეთოდი“. მიმაჩნია, რომ დასახელებები უფრო კონკრეტული უნდა იყოს მაგალითად უნდა „ბიოსამედიცინო ლაზერული ტექნიკა“.

- საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ლაბორატორიული ბაზა, მაგრამ უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა მდგრადი გეგმა, რომელშიც გაიწერება ლაბორატორიული ბაზის პერმანენტული განახლება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

26. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სასურველია კომპეტენციების რუკა თან ახლდეს საბაკალავრო პროგრამას;
- სასურველია სასწავლო კურსების „მსოფლიო ფიზიკური გეოგრაფია“ და „კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია“ წინაპირობად მითითებული იქნას ფიზიკური გეოგრაფიის ზოგადი კურსი, ნაცვლად სასწავლო კურსისა „საქართველოს გეოგრაფია“;
- სასურველია სასწავლო კურსების „ტოპოგრაფია და საველე აგეგმვები“, „მეტეოროლოგია და ამინდის პროგნოზი“, „კლიმატოლოგია და ჰავის რესურსები“, „ნიადაგმცოდნეობა და მიწის რესურსები“ ძირითადი ლიტერატურა გადახალისდეს უფრო თანამედროვე ლიტერატურით;
- სასურველია სასწავლო კურსის „მსოფლიო ტურისტული ცენტრების გეოგრაფია“

სახელწოდება შეიცვალოს სახელწოდებით „ტურიზმის გეოგრაფია“ და მეტი ყურადღება გამახვილდეს გეოგრაფიულ ასპექტებზე და არა ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე;

- სასურველია საველე-სასწავლო კომპლექსური (გეომორფოლოგია, ტოპოგრაფია, ჰიდროლოგია, მეტეოროლოგია) პრაქტიკა, ჩატარდეს არა კომპლექსურად, არამედ ცალ-ცალკე, რადგან გეომორფოლოგია, ტოპოგრაფია, ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია გეოგრაფიის განსხვავებული მიმართულებებია და საველე-სასწავლო პრაქტიკა უფრო ეფექტური იქნება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

27. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მეტი ყურადღება დაეთმოს ეკოლოგიის, როგორც მიმართულებათაშორისი და ინტერდისციპლინარული დარგის წარმოჩენას. შესაბამისად, სასურველია ეს განხორციელდეს სასწავლო გეგმაში არსებული სილაბუსების შინაარსის შემდგომი გადახალისების, არსებული არჩევითი დისციპლინებისათვის (მაგალითად, "ეკოლოგიური სამართალი და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა", "ანალიზური ქიმია ეკოლოგიისათვის") სავალდებულო სტატუსის მინიჭების და/ან სხვა ეკოლოგიური დისციპლინებისათვის (მაგ. "ატმოსფეროს ეკოლოგია", "ჰიდროსფეროს ეკოლოგია", "ეკოტოქსიკოლოგია", "საინჟინრო ეკოლოგიის საფუძვლები", "აგროეკოლოგია") სასწავლო კრედიტების გამოყოფის გზით.

- პროგრამის სასწავლო კურსების ერთიანი ლოგიკური ჯაჭვის გასაუმჯობესებლად სასურველია რიგი დისციპლინების ("ეკოლოგიის საფუძვლები", "მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები", "ადამიანის ეკოლოგია", "რადიაციული ეკოლოგია") წინაპირობების გადახედვა.

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება პრაქტიკასა და კვლევაზე დამყარებული კომპონენტები კიდევ უფრო გაძლიერდეს და სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტულად გაიწეროს სემინარულ/პრაქტიკულ/ლაბორატორიულ სამუშაოთა თემატიკა.

- კურიკულუმში სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაბამისობის ამსახველი ცხრილის ჩართვა, ასევე დისციპლინათა სილაბუსებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების უფრო მეტი კონკრეტული წარმოჩენა ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების უფრო მეტ ინფორმირებულობას და პროგრამის ერთიან კონტექსტში უკეთ აღქმას.

- საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდას და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერებას. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ აქტუალობას იძენს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ერთობლივი აკადემიური ხარისხით, როცა სტუდენტი სწავლობს ერთი აკადემიური ხარისხისათვის რამდენიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში. ამ კუთხით, სასურველია უპირველესად დაიწყოს მუშაობა საქართველოს იმ უმაღლეს დაწესებულებებთან, რომლებიც მსგავს საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მიიჩნევს რომ აღნიშნული შეფასებები არა რეკომენდაციები, არამედ, აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამოების მანიშნებელია და მოითხოვა ექსპერტის განმარტება აღნიშნულის თაობაზე. საბჭოს სხდომაზე არ იყო წარმოდგენილი ექსპერტი. საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა საკითხი ექსპერტის შეფასებებთან დაკავშირებულ საკითხებზე განმარტების მიღების შეუძლებლობის გამო, საკითხის განხილვა გადაედოთ შემდეგი სხდომისათვის. საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადადების თაობაზე. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ეთხოვა უზრუნველყო ექსპერტის მონაწილეობა საკითხის განხილვაში.

28. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- სილაბუსებში ექვსივე კომპეტენციის აუცილებელად გაწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან შეიძლება კონკრეტული საგანი რომელიმე მათგანს საერთოდ ვერ ავითარებდეს;

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქის შემუშავება.

- ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება შეუსაბამოა სილაბუსებსა და სასწავლო გეგმას შორის პრერეკვიზიტულ საგნებთან მიმართებაში.

- სილაბუსებში გაწერილი შეფასება მრავალკომპონენტანია და უნივერსიტეტში დადგენილი საერთო წესის შესაბამისია. სასურველია, კიდევ უფრო დეტალურად გაიწეროს აღნიშნულ კომპონენტებში შესაბამისი ქვლების დაგროვების შესაძლებლობა;

- სილაბუსის „სოციალური ფარმაცია პრაქტიკით“ შინაარსში, სასურველია, მკაფიოდ ჩანდეს პრაქტიკის თემატიკა და მისთვის დათმობილი საათების წილი.

- სილაბუსების ნაწილში კურსების სწავლისა და სწავლების მეთოდები ხშირად ერთგვაროვანია სხვადასხვა დისციპლინისათვის და არ ჩანს საგნის სპეციფიკა, შესაბამისად, სასურველია, სწავლების მეთოდები კონკრეტულად მიეთითოს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე და არ ატარებდეს ტრაფარეტულ ხასიათს.

-პროგრამა ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის წიაღში, შესაბამისად, მასში ჩართულია აღნიშნული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. ვფიქრობთ, პროგრამის განხორციელებაში ფარმაცევტების უფრო მეტი რაოდენობით ჩართვა ძლიერ წაადგება პროგრამის განხორციელებისას სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

29. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- თუმცა ეს ოფიციალურად არ მოითხოვება, კარგი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამას რომ დაერთოს კომპეტენციების რუკა.

- ჩემი აზრით აჯობებდა ფინალური გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა არ აღემატებოდეს 30, რადგან ამ შემთხვევაში სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა ფინალურ გამოცდაზე გასასვლელად უნდა მოაგროვოს 21 ქულა, რაც, ცხადია, მეტ მუშაობას მოითხოვს, ვიდრე 11 ქულის მოგროვება.

- სილაბუსების ნაწილში გასასწორებელია პედაგოგიური პერსონალის ხარისხები. საქართველოში არ არსებობს „ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორის“ ხარისხი. უნდა იყოს ან „ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი“ ან ფიზიკის (მათემატიკის) დოქტორი“.

- პროგრამის მოდულის წინაპირობაში ჯობია მიეთითოს ბიო-სამედიცინო ინჟინერიის პროგრამის სტუდენტები, რომელთა პროგრამა სავსებით შეესაბამება მოდულის პროგრამის დფაძლევას. მით უმეტეს, რომ ამ დარგის 6 სტუდენტი უკვე იღებს მეორე სპეციალობას ამ მოდულის პროგრამით.

- უფრო ნათლად უნდა ჩანდეს დოკუმენტაციაში აკადემიური პერსონალის სტუდენტთან მუშაობა. იგი უნდა აისახოს სილაბუსებში და ცხრილებში, რომელიც სტუდენტისათვის ხელმისაწვდომ ადგილას უნდა იყოს გამოკრული.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

- სასურველია საფაკულტეტო შესავლის საგნების დამატოს შესავალი ფილოსოფიაში, რაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჰუმანიტარული კომპენტენციის გამომუშავებისათვის

- პროგრამაში არსებული სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობა მეტად მოუქნელს ხდის სტუდენტთა მიერ სპეციალობის თავისუფალ არჩევანს. სასწავლო პროგრამა ნაკლებად ითვალისწინებს არჩევით კურსებს. არჩევით საგნებს ეთმობა სულ 15 კრედიტი. ამდენად სასურველია ძირითადი სავალდებულო საგნების კრედიტების რაოდენობა შემცირდეს და გაიზარდოს არჩევითი საგნების კრედიტები

- სასწავლო სილაბუსებში ნაკლებად არის წარმოდგენილი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს უფრო ვრცლად გაეცნოს თანამედროვე ეპოქის კვლევის შედეგებს შესაბამის საგანში. ევროპის ისტორიის საგნების სილაბუსებში უცხოური ლიტერატურა ძირითადად არის მხოლოდ რუსული, ისიც საკმაოდ მოძველებული. სასურველი იქნებოდა სტუდენტს ჰქონოდა დასავლური ლიტერატურის გაცნობის საშუალება, მით უფრო, როდესაც პროგრამა ძირითადად ინგლისური ენის კომპეტენციების გაზრდაზეა ორიენტირებული.

- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის კრედიტი გაიზარდოს 6 დან 9-მდე მაინც.

- სასწავლო სილაბუსებში ნაკლებად არის წარმოდგენილი საისტორიო წყაროები და დოკუმენტები, სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს საისტორიო წყაროების --შესწავლას

- სასწავლოს--საწარმოო პრაქტიკისათვის შემუსავებულია სილაბუსი, სადაც შეტანილია ზოგადად პროფესიული პრაქტიკის ფუნქციები, მიზნები და მსისი ჩატარების, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შედგენის საერთო ინსტრუქცია. ვფიქრობთ, ეს ზოგადი ნაწილი გაიმიჯნოს სილაბუსისაგან და დარჩეს სასწავლო საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქციად, ხოლო პრაქტიკის ჩატარების კონკრეტული ადგილიდან გამომდინარე (იქნება ეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თუ სახელმწიფო არქივის და სხვ.) პრაქტიკის სილაბუსში გაიწეროს უკვე მეტი კონკრეტულის შემცველი ინფორმაცია - მიზან-შედეგი თუ პრაქტიკული აქტივობების კვირეული გეგმა

- საბაკალავრო ნაშრომისათვის უნივერსიტეტში შემუსავებულია სილაბუსი, რაც ვფიქრობთ, ქმნის გარკვეულ უკმარისობას, მასში სეტანილი ინფორმაციის კონკრეტულის ნაკლებობის გამო. ეს ინფორმაცია საბაკალავრო ნაშრომის დაწერისა და მისი შეფასების, მისი საჯარო დაცვის ინსტრუქცია უფრო წარმოადგენს, ვიდრე სილაბუსს. მიგვაჩნია რომ სავბაკალავრო ნაშრომისათვის სილაბუსის შემუსავება ხელოვნურია, საკმარისი იქნებოდა ინსტრუქციის არსებობა და საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის მითითება საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

41. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები და შედეგები მეტად ვრცელადაა გაწერილი. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ ტექსტს უფრო დაკონკრეტდება და დაიხვეწება (მაგ.: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ნაწილში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს „აქვს მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, მათ შორის სინქრონული თარგმანისათვის აუცილებელი უნარები.“ ვფიქრობთ, მხოლოდ 3 კრედიტიანი საგანი „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“ - ამ უნარს ვერ უზრუნველყოფს. მით უფრო, რომ სინქრონული თარგმანის განხორციელებას სრულიად სპეციფიკური ცოდნა და პრაქტიკა ესაჭიროება; ასევე: კომუნიკაციის უნარში მითითებულია, რომ „კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსების, მათ შორის ელექტრონული ცხრილების, ტექსტების დამუშავებისა და სხვა სპეციალური პაკეტების კომპეტენტურად და შემოქმედებითად გამოყენების უნარი; მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უნარი; ინტერნეტის სისტემაში ინფორმაციის მოძიების მეთოდების გამოყენება; ფილოლოგიური ინფორმაციის დამუშავების სტატისტიკური მეთოდების ცოდნა და ა. შ.), მაშინ, როდესაც პროგრამაში მითითებული არცერთი საგანი ამ ცოდნის მიცემას არ ითვალისწინებს. ვფიქრობთ, გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად სასურველი იქნება მივუთითოთ, რომ აღნიშნული კომპეტენციის გამომუშავებას სტუდენტი სურვილის შემთხვევაში შეძლებს თავისუფალი კრედიტის გამოიყენებით.

- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია სილაბუსი, სადაც შეტანილია ზოგადად პროფესიული პრაქტიკის ფუნქცია, მიზნები და მისი ჩატარების, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შედგენის საერთო ინსტრუქცია. ვფიქრობთ, ეს ზოგადი ნაწილი უნდა გაიმიჯნოს სილაბუსისგან და დარჩეს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქციად, ხოლო პრაქტიკის ჩატარების კონკრეტული ადგილიდან გამომდინარე (იქნება ეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თუ სახელმწიფო არქივი და სხვ.), პრაქტიკის სილაბუსში გაიწეროს უკვე მეტი კონკრეტულის შემცველი ინფორმაცია – იქნება ეს მიზან-შედეგი თუ პრაქტიკული აქტივობების კვირეული გეგმა.

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომისთვის შემუშავებულია სილაბუსი, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნება ინსტრუქციის არსებობა და საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის მითითება საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში.

- ვფიქრობთ, 6 კრედიტი (150 სთ) საბაკალავრო ნაშრომისათვის, რომელიც საბაკალავრო პროგრამით გამომუშავებული კომპეტენციების პრაქტიკულად დემონსტრირების საშუალებაა, ცოტაა და საჭიროებს კრედიტის მომატებას.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსზე და მიზან-შედეგზე უფრო მეტად მორგებით.

- ობიექტური მიზეზების გამო, სასწავლო კურსების ერთი ნაწილის ლიტერატურა ოდნავ მოძველებულია; კარგი იქნება, თუ მოხერხდება პირადი კონტაქტების გამოყენებით უახლესი სახელმძღვანელოების მოპოვება და მათი ასლებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდების გამდიდრება.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გეკეთებინა სინქრონულ თარგმანთან დაკავშირებით დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებზე. ექსპერტმა ნანა ფრუიძემ განმარტა, რომ ამ ნაწილში პროგრამის მიზნები და შედეგები მაქსიმალისტურად იყო მითითებული.

თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, აღნიშნულ პროგრამას სტუდენტებისთვის უნდა გამომუშავებინა თუ არა სინქრონული თარგმანის უნარი. რაზეც ექსპერტმა განმარტა, რომ სამ კრედიტიანი სასწავლო კურსით ამ უნარი გამომუშავება შეუძლებელი იყო. ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ გასათვალისწინებელი იყო მიჯნის გავლება თარგმანსა და მთარგმნელს შორის და მას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა მიაჩნდა პროგრამის ფარგლებში ამ

კომპეტენციის მითითება. იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სტუდენტებს ამ კომპეტენციას არ უმუშავებდა და არც იყო სავალდებულო რომ გამოემუშავებინა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიტყვა „სინქრონული“ მექანიკურად იყო მითითებული და აქ საუბარი იყო მთარგმნელობით კომპეტენციებზე. მათი განცხადებით, ისინი ეთანხმებიან ექსპერტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სინქრონულ თარგმანს სხვა კომპეტენციები ესაჭიროება და პროგრამა აღნიშნული კომპეტენციების გამომუშავებას ვერ უზრუნველყოფს.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა ეს იყო ტექნიკური უზუსტობა, თუ პროგრამის მიზანი, რომელსაც პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა.

ნანა ფრუიძემ განმარტა, რომ სინქრონულ თარგმანზე მითითება იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და არა შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

42. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

სასურველია მოხდეს პროგრამის შინაარსის და მისი სტრუქტურის მცირეოდენი კორექცია:

- დისციპლინაში ფრანგული ფილოლოგიის შესავალი გარდა ლინგვისტიკის საკითხებისა შეივსოს ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებით, რაც სტუდენტს ერთიანობაში სრულყოფილ წარმოდგენას მისცემს ფილოლოგიის როგორც დარგის შესახებ.
- მკვეთრად გაიმიჯნოს სალექციო და სასემინარო საკითხები დისციპლინებისათვის შესავალი ენათმეცნიერებაში და ზოგადი ენათმეცნიერება, რაც ცალსახად აისახება ზემოხსენებული დისციპლინებისათვის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განსაზღვრისას;
- სასწავლო კურსი საზღვარგარეთ ლიტერატურის ისტორია ზემოხსენებულ პროგრამაში წარმოდგენილია სავალდებულო საგნების ჩამონათვალში, მისი შეთავაზება სასურველია არჩევითი საგნების რეგისტრში და არა ძირითადი პროგრამის ღერძში ლიტერატურისმცოდნეობის საგნების სპექტრის გამრავალფეროვნებისა და ამ ზოგადლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციათა გაზრდის მიზნით.
- დისციპლინა ფრანგულ-ქართული შეპირისპირებითი ტიპოლოგია არ არის საბაკალავრო რეგისტრის შემადგენელი საგანი, ის შეიძლება განხორციელდეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სასწავლო პროგრამის ფარგლებში. ზემოხსენებული დისციპლინა შეიძლება ჩანაცვლდეს საგნით ფრანგული ენის ვარიანტები;
- ფრანგული ენის თეორიული ფონეტიკის სასწავლო კურსი უმჯობესია დავიწროვდეს და მასში შენარჩუნდეს ფრანგული ენის პრაქტიკული ფონეტიკის საკითხები და კომპეტენციები, რაც მიესადაგება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფორმატს.
- სასურველია დისციპლინა: საფრანგეთის ისტორია, უნდა იყოს არა ფრანგული ფილოლოგიის არამედ შესაბამისი მომიჯნავე სპეციალობის არჩევით საგანთა ჩამონათვალში და სტუდენტი მომიჯნავე პროგრამებიდან უნდა ივსებდეს კომპეტენციების სფეროს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა დარგობრივი კომპეტენციების შევსებას მათი ინტერესების სფეროს გათვალისწინებით;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროგრამებში სასურველია თუ სავალდებულო საფაკულტეტო საგნების ნუსხას დაემატებოდა ფილოსოფიის შესავლის კურსი, რაც სავალდებულო უნდა იყოს ფილოლოგიური და საერთოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შემსწავლელთათვის მომავალში კვლევების მეთოდოლოგიურ საფუძვლევს იძლევა.
- სასურველია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამებს დაემატოს არჩევითი სტატუსით კლასიკური ენები (ლათინური, ბერძნული), რომელთაგან არჩევანს სტუდენტი გააკეთებდა დარგობრივი კომპეტენციების გასაღრმავებლად ერთ-ერთ მონათესავე ძველ ენაზე;
- სასურველია არჩევითმა დისციპლინამ ბიზნეს ფრანგული ენა დაიკავოს სასემინარო სეგმენტი თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში;
- სასურველია არჩევითი დისციპლინა ექსტენსიური კითხვა არ იყოს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებელი საგნის სტატუსით, ვინაიდან საბაკალავრო პროგრამის წერის, მეტყველების, კითხვისა და მოსმენის საკითხები პრაქტიკულმა კურსმა უნდა განახორციელოს;
- თუ პროგრამა არჩევით საგანთა რეგისტრში ითვალისწინებს პროგრამის მონაწილისათვის დარგობრივი კომპეტენციების შევსებას სტილისკის მიმართულებით, უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამა წარმოადგენდა ზოგად კურს ფრანგული ენის სტილისტიკაში და არა მხოლოდ რამოდენიმე საკითხს ზემოხსენებული დისციპლინიდან (ფრანგული ენის ფუნქციონალური სტილები);
- პროგრამის სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და თანამედროვე, თუმცა სასწავლო სილაბუსში ის უნდა გაიწეროს დეტალურად და მიზანმიმართულად;

- სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ენის პრაქტიკული კურსი შეივსოს კვირეული რეგულარული დატვირთვით, რაც თავისუფლად თავსდება 6 კრედიტის ფარგლებში;
 - საბაკალავრო ნაშრომისათვის შემუშავებულია სილაბუსი, რომლის ინფორმაცია მწირია თუ მას სილაბუსის ფორმატში განვიხილავდით. სილაბუსში მოწოდებულია მხოლოდ ნაშრომის შესრულების და მისი შეფასების, ასევე საჯაროდ დაცვის ინსტრუქცია. სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ წინამდებარე ინფორმაცია ინსტრუქციის სახით დამატებოდა პროგრამის ფორმატს საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის მითითებით. ასევე სასურველია გაიზარდოს საბაკალავრო ნაშრომის საკრედიტო მოცულობა (მინიმალური 9 და მაქსიმალური 12 კრედიტი);
 - სასურველია უცხოური ენის პრაქტიკული კურსებისათვის სწავლის შედეგები გაიწეროს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს შესაბამისი ენობრივი დონის ყველა კომპეტენციის მიხედვით (მოსმენა, წერა, კითხვა, მეტყველება). რაც შეეხება ყველა სხვა სასწავლო დისციპლინის სწავლის შედეგებს, მათი გაწერა უნდა მოხდეს შესაბამისი სასწავლო გეგმის კონკრეტული კომპეტენციების ზედმიწევნით ზუსტი გათვლით;
 - სასურველია თუ პროგრამაში იმთავითვე მითითებული იქნებოდა, რომ სწავლების ენა ქართულთან ერთად არის აგრეთვე უცხოური, შესაბამისად ფრანგული, რადგან პროგრამის მონაწილისათვის თავიდანვე ცნობილი გახდეს, თუ რა დამატებითი უნარების ფლობას საჭიროებს ის, რათა პროგრამის დაუფლება მოახერხოს სრულყოფილად;
 - სასურველის სასწავლო მეთოდები გაიწეროს დეტალურად და მასში გათვალისწინებული იყოს კონკრეტული სასწავლო კომპონენტისათვის ნიშანდობლივი მეთოდური თავისებურებები;
 - სასურველია კონკრეტულად გაიწეროს შეფასების მეთოდთა ჩამონათვალი და შესაბამისად, შეფასების სისტემა ცალკეული სასწავლო დისციპლინის შინაარსიდან და ფორმატიდან გამომდინარე, მათი მოთხოვნების შესაბამისად.
 - სასურველია განახლდეს სასწავლო სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის ჩამონათვალი კვლევის უახლესი შედეგები ამსახველი და ახალი მეთოდური ლიტერატურით, რაც აგრეთვე ხელს შეუწყობდა გარკვეულწილად პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;
 - ასევე მნიშვნელოვანია თუ ინტენსიური გახდებოდა კონტაქტები ფრანგულენოვანი ქვეყნების შესაბამის სასწავლო-კვლევით ინსტიტუტებთან და მათთან უშუალო კონტაქტში უნივერსიტეტი შეეცდებოდა კონტაქტი დაემყარებინა ფრანგულენოვან უნივერსიტეტთან, რაც თავითავად მოხსნიდა სხვადასხვა დონის პრობლემას ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
- თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გეგმებიდან დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ექსპერტმა ნინო ქიმერიძემ განმარტა, რომ მის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები სარეკომენდაციო ხასიათის იყო და არ ითვალისწინებდა აკრედიტაციის სტანდარტის დარღვევას.
- თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს.
- საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.
- თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

43. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები და შედეგები მეტად ვრცელადაა გაწერილი. ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, თუ ტექსტს უფრო დაკონკრეტდება და დაიხვეწება.

- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია სილაბუსი, სადაც შეტანილია ზოგადად პროფესიული პრაქტიკის ფუნქცია, მიზნები და მისი ჩატარების, სტუდენტის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შედგენის საერთო ინსტრუქცია. ვფიქრობთ, ეს ზოგადი ნაწილი უნდა გაიმიჯნოს სილაბუსისგან და დარჩეს სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქციად, ხოლო პრაქტიკის ჩატარების კონკრეტული ადგილიდან გამომდინარე (იქნება ეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თუ სახელმწიფო არქივი და სხვ.), პრაქტიკის სილაბუსში გაიწეროს უკვე მეტი კონკრეტულის შემცველი ინფორმაცია – იქნება ეს მიზან-შედეგი თუ პრაქტიკული აქტივობების კვირული გეგმა.

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომისთვის შემუშავებულია სილაბუსი, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სრულიად საკმარისი იქნება ინსტრუქციის არსებობა და საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის მითითება საბაკალავრო პროგრამის აღწერილობაში.

- ვფიქრობთ, 6 კრედიტი (150 სთ) საბაკალავრო ნაშრომისათვის, რომელიც საბაკალავრო პროგრამით გამომუშავებული კომპეტენციების პრაქტიკულად დემონსტრირების საშუალებაა, ცოტაა და საჭიროებს კრედიტის მომატებას.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსზე და მიზან-შედეგზე უფრო მეტად მორგებით. ამასთან, ვფიქრობთ, დასახვეწია 20 ქულიანი არგუმენტირებული ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (კერძოდ, მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს პლაგიატი და დამოწმება/ციტირება).

- სასურველია, სხვა საბაკალავრო პროგრამებისათვის შეთავაზებულ ქართული ფილოლოგიის minor პროგრამაში სავალდებულოს სტატუსი ჰქონდეს არა ქართული გრამატიკის საფუძვლები 1-ს (ფონეტიკა) და ქართული გრამატიკის საფუძვლები 2-ს (მორფოლოგია), არამედ ქართული გრამატიკის საფუძვლები 2-სა (მორფოლოგია) და ქართული გრამატიკის საფუძვლები 3-ს (სინტაქსი), რაც უკეთ უზრუნველყოფს ამ დისციპლინის დაუფლებას.

- პროგრამაში ნათქვამია, რომ „კურსდამთავრებულს შეეძლება მუშაობა: საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არქივებში, მუზეუმებში და ბიბლიოთეკებში, საგანმრეწველო ორგანიზაციებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში რეფერენტად, სტილისტად და სხვ.“ ექსპერტთა აზრით, აქ უსათუოდ უნდა მიეთითოს, რომ ზემოხსენებულ სტრუქტურებში (განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში), კურსდამთავრებულს მუშაობის დაწყება შეეძლება მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში.

თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებებთან დაკავშირებით. ნანა ფრუიძემ მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსებისათვის სავალდებულო სტატუსის მინიჭება მინიმუმამდე დაიყვანდა ამ საგნის გაუვლელობით გამოწვეულ რისკს, რამდენადაც არჩევითი სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, არსებობდა რისკი იმისა, რომ სტუდენტებს აღნიშნული საგანი არ აერჩიათ. ამასთან, მისი განცხადებით, საყურადღებო იყო ის ფაქტორიც, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა მაინორ პროგრამას, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭებას არ ითვალისწინებს. ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ სინტაქსი წინადადების სწორედ აგებას სწავლობს და შესაბამისად, მისი ცოდნა მოეთხოვება არა მხოლოდ ფილოლოგს, არამედ ნებისმიერ სხვას, ხოლო რაც შეეხება ფონეტიკის სავალდებულო

სტატუსით შეთავაზებას, აღნიშნულზე განაცხადა, რომ სავალდებულო არ იყო მისი შეთავაზება მაინორ პროგრამის სტუდენტებისათვის.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

44. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები და შედეგები ვრცლადაა გაწერილი. უმჯობესი იქნება, მათი დაკონკრეტება, გაზომვადი და კონკრეტულად მიღწევად მიზნებად გაწერა.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსიდან და მისალწვევი მიზნებიდან გამომდინარე.

- პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი და მას ახორციელებს სხვადასხვა დარგის შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რასაც ადასტურებს მათი ბოლო პერიოდში არსებული კვლევითი პოტენციალი. პროგრამის უფრო ეფექტურად განხორციელება განათლების მიმართულების აკადემიური ხარისხის მქონე პირთა ჩართულობით უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რისთვისაც დაწესებულებამ განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის ოდენობა უნდა გაზარდოს.

- სასურველია მოხდეს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისა და მოდულების წინაპირობების სისტემის სრულყოფა და ხელახალი გააზრება თანმიმდევრობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს განმარტება გეკეთებინა დასკვნაში დაფიქსირებულ ბოლო შეფასებასთან დაკავშირებით. ეკატერინა გიგაშვილმა განმარტა, რომ სასწავლო გეგმაში იყო გრაფა, სადაც მითითებული იყო თითოეული სასწავლო კურსების წინაპირობები. აღნიშნულ გეგმაში იყო ტექნიკური ხარვეზი წინაპირობის მითითებასთან დაკავშირებით, თუმცა სილაბუსი სწორად იყო შედგენილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

45. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები და შედეგები ვრცლადაა გაწერილი. უმჯობესი იქნება, მათი დაკონკრეტება, გაზომვადი და კონკრეტულად მიღწევად მიზნებად გაწერა.

- საბაკალავრო ნაშრომისთვის შემუშავებულია 6 კრედიტიანი (150 სთ) სილაბუსი, რომელიც საბაკალავრო პროგრამით გამომუშავებული კომპეტენციების პრაქტიკულად დემონსტრირების საშუალებაა, სასურველია ან გაიზარდოს მისი მოცულობა ან შეიცვალოს სხვა საგნით.

- შეფასების სისტემა სასწავლო კურსების დიდ ნაწილში უნიფიცირებულია. სასურველია, შეფასების ფორმების გამრავალფეროვნება სასწავლო დისციპლინათა შინაარსიდან და მისალწვევი მიზნებიდან გამომდინარე.

- პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი და მას ახორციელებს სხვადასხვა დარგის შესაბამისი აკადემიური პერსონალი, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რასაც ადასტურებს მათი ბოლო პერიოდში არსებული კვლევითი პოტენციალი. პროგრამის უფრო ეფექტურად განხორციელება განათლების მიმართულების აკადემიური ხარისხის მქონე პირთა ჩართულობით უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რისთვისაც დაწესებულებამ განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის ოდენობა უნდა გაზარდოს.

- სასურველია მოხდეს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსებისა და მოდულების წინაპირობების სისტემის სრულყოფა და ხელახალი გააზრება თანმიმდევრობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

46. ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები:

- პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მთლიანობაში ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, მიღწევადია.

- ბუნდოვანია ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით ხელს უწყობს ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ურთიერთობის აღდგენასა და შემდგომ სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას“.

- პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსების/მოდულების (141 კრედიტი), ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსების/მოდულების (54 კრედიტი), საფაკულტეტო არაიურიდიული სავალდებულო კურსების (27 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის (12 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომისაგან (6 კრედიტი).

- უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსი ვერ უზრუნველყოფს ამავე კურსით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სასწავლო კურსის „შესავალი სამართალმცოდნეობაში“ (6 კრედიტი) შინაარსი ვერ უზრუნველყოფს ამავე კურსის სწავლის შედეგებს - „ექნება ფუნდამენტური თეორიული ბაზა ძირითადი ცნებებისა იურისპრუდენციაში; სრულყოფილად იცის იურისპრუდენციის ძირითადი ცნებები, ტერმინები, ინსტიტუტები; შეუძლია სფეროსთვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემის გადაჭრის მიზნით; შეუძლია კვლევითი ან პრაქტიკული პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; აქვს სამართლის თეორიული პრობლემების იდენტიფიცირების უნარი“.

- სასწავლო კურსის „შესავალი სამოქალაქო სამართალში“ (6 კრედიტი) შინაარსი ვერ უზრუნველყოფს ამავე კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - „შეუძლია ამ მიმართულებით ანალიტიკური სამუშაოების შესრულება“. ამავე სილაბუსში, ისევე როგორც საავტორო სამართლის სილაბუსში, დასახვეწია სწავლების მეთოდები და ისინი უნდა გაიმიჯნოს სწავლის შედეგების მიღწევს ფორმებისაგან (მაგალითად, ზეპირი და წერიტი გამოკითხვა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და ა.შ.).

- სასწავლო კურსის „რომის სამართლის საფუძვლების“ (6 კრედიტი) შესწავლით შეუძლებელია სტუდენტი „გაეცნოს და დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“.

- სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ (6 კრედიტი) შინაარსი ასევე ვერ უზრუნველყოფს ამავე კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - „შეუძლია კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება, წინასწარი გეგმისა და მითითებების შესაბამისად“. ამავე სილაბუსში, ისევე როგორც საავტორო სამართლის სილაბუსში, დასახვეწია სწავლების მეთოდები და ისინი უნდა გაიმიჯნოს სწავლის შედეგების მიღწევს ფორმებისაგან (მაგალითად, ზეპირი და წერიტი გამოკითხვა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და ა.შ.).

- სასწავლო კურსის „სამართლებრივი ეთიკის“ სწავლებისას ვერბალურ მეთოდთან, წიგნზე მუშაობის მეთოდთან და წერიტი მუშაობის მეთოდთან ერთად, გამოიყენება დიალექტიკისა და მეტაფიზიკის მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ევრისტული მეთოდი, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი, რაც არ არის აუცილებელი ამავე კურსით დასახული მიზნის მისაღწევად.

- დახვეწას მოითხოვს სასწავლო კურსის „სამართლებრივი წერის“ სილაბუსი. სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკა (სულ 5 თემა: სამართლებრივი წერის მნიშვნელობა და პრინციპები, შეინარჩუნეთ სარწმუნოება, შეინარჩუნეთ სწორი ტონი, გადახედეთ თქვენს ნაშრომს, კონკრეტული პროცესუალური დოკუმენტების განხილვა), ვერ უზრუნველყოფს სასწავლო კურსის მიზნის მიღწევას - „სამართლებრივი წერის საფუძვლიანი შესწავლა და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება“.
- სასწავლო კურსში „სამოხელეო სამართალში“ მითითებული სავალდებულო ლიტერატურა (ვ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები; ვ. ლორია საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი) ასევე თემატიკა (სახელმწიფო საიდუმლოება, ნორმატიული აქტების იერარქია, სახელმწიფო თანამდებობის პირთა იმპიჩმენტი, საქართველოს მთავრობის სტრუქტურა და უფლებამოსილება, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა) ვერ უზრუნველყოფს სამოხელეო სამართლის სწავლებას.
- დასაზუსტებელია სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართლის“ (6 კრედიტი) მიზანი, რომლის თანახმადაც „საგადასახადო სამართლის კურსს აქვს როგორც თეორიულ-შემეცნებითი, ასევე სამეცნიერო-პრაქტიკული მნიშვნელობა. საგადასახადო სამართლის კურსის ზოგადი მიზანია კვლევითი ხასიათის პროგრამით სტუდენტის მომზადება მაგისტრატურის საფეხურზე შემდგომი სწავლისათვის და მუშაობისათვის დადგენილი პირობების გათვალისწინებით...“. საკმაოდ ფართოა ამავე სასწავლო კურსით გათვალისწინებული ძირითადი (5 ერთეული) და დამატებითი ლიტერატურაც (50 ერთეული).
- სასწავლო კურსების „სანივთო სამართალი“, „მოდერნული საკუთრების შესახებ“ და „მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის“ ძირითადი ლიტერატურა ფაქტობრივად იდენტურია, რაც საჭიროებს მათ გამიჯვნას.
- სტუდენტის ცოდნის შეფასებისას ძირითადად გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. ამასთან, ცალკეულ სილაბუსებში (სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სისხლის სამართლის კერძო I, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, საარჩევნო სამართალი, სამოხელეო სამართალი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება, მოძღვრება საკუთრების შესახებ, კაზუსის განხილვა სისხლის სამართალში) სტუდენტის ცოდნის შეფასებისას საჭიროა გამოყენებული იქნეს უფრო კონკრეტული და გამჭვირვალე კრიტერიუმები.
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი. ამასთან, სასურველია ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი შეფასებითი კომპონენტის სახით რეფერატის მომზადების ნაცვლად ითვალისწინებდეს იმიტირებულ სასამართლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობას.
- საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საგადასახადო სამართლის სწავლებას. სილაბუსის თემატიკიდან გამომდინარე, სასურველია აღნიშნულ სასწავლო კურსს ეწოდოს საგადასახადო და საბაჟო სამართლის საფუძვლები ან სასწავლო კურსი გაიყოს ორ ნაწილად: საგადასახადო სამართალი და საბაჟო სამართალი.
- დასაზუსტებელია და დასახვეწია კომპეტენციების რუქა. შეუძლებელია ისეთ სასწავლო კურსს, როგორებიცაა სამართლებრივი ეთიკა არ გააჩნდეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ადმინისტრაციული სამართლის პროცესს - ცოდნა და გაცნობიერება და სხვ..
- თემატიკის გათვალისწინებით სასურველია სასწავლო კურსს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი I (ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“ ეწოდოს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)“. ამასთან, სასურველია გაიზარდოს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თემატიკაც.
- სასწავლო კურსს „დანაშაულის კვალიფიკაცია“ სასურველია ეწოდოს „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“.
- თემატიკის, მიზნისა და სწავლების შედეგების გათვალისწინებით სასურველია სასწავლო კურსის „შესავალი სამართლის ფილოსოფიაში“ სწავლება მე-2 სასწავლო სემესტრიდან გადატანილი იქნეს სწავლების მე-4 წელს ან სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო სასწავლო კურსს „სამართლის სოციოლოგია“ ეწოდოს „სოციოლოგია იურისტებისათვის“.
- სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით სასურველია კიდევ უფრო გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება, რაც გაზრდის სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის

სწავლების მე-4 წელს ან სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო სასწავლო კურსს „სამართლის სოციოლოგია“ ეწოდოს „სოციოლოგია იურისტებისათვის“.

- სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით სასურველია კიდევ უფრო გაძლიერდეს ინგლისური ენის სწავლება, რაც გაზრდის სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციას, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტუდენტთა მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

- სასურველია გასწორდეს ცალკეულ სილაბუსებში არსებული ტექნიკური ხარვეზები. ამასთან, ყველა სილაბუსში აისახოს კონსულტაციის დრო.

- სასურველია მატერიალური რესურსის გაძლიერება აუდიო-ვიდეო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მეორე შეფასებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების სურვილი იყო რეგიონალური ფაქტორი გათვალისწინებინათ, ამ მიზნის მისაღწევად პროგრამის ფარგლებში გამოიყენება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკათან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, ცალკეულ სასწავლო კურსებში აქცენტები გამახვილებულია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა პროგრამის ერთ-ერთი მიზანი ყოფილიყო ეთნიკური ურთიერთობების შესწავლა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეშვიდე შეფასებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასწავლო კურსში „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ რეფერატის მომზადება არის გათვალისწინებული, შესაბამისად, სწორედ ამ გზით სტუდენტები გამოიმუშავენ კვლევით უნარებს. დანარჩენ შეფასებებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ ეთანხმება ექსპერტთა შეფასებებს და მათ მხედველობაში მიიღებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 01:30 სთ-ზე თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოცხადა.

თავმჯდომარე

დავით კიკალაიშვილი

მდივანი

დიმიტრი ალავეძე